

საქართველოს ნიადაგების  
წითელი წიგნი  
THE RED BOOK  
OF SOILS OF GEORGIA



თავისუფალი და აგროარული  
უნივერსიტეტების გამომცემლობა  
FREE AND AGRICULTURAL  
UNIVERSITIES PRESS



წიგნი შედგენილი და გამოქვეყნებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო ხელშეკრულება №AR 216726, „საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნის შექმნა და გამოცემა“).

The book is elaborated and published by financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (Grant number AR 216726, “Creation and Publication of a “Red Data Soil Book of Georgia”).

წიგნი განხილული და გამოსაცემად რეკომენდებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს მიერ (ოქმი №15/2018 22.11.)

The book is reviewed and recommended to publish by the Dissertation Board of Agricultural Sciences of the Agricultural University of Georgia (Protocol №15/2018 22.11.)

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი  
*Agricultural University of Georgia*

მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის,  
აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი  
*Michael Sabashvili Institute of Soil Science,  
Agrochemistry and Melioration*

შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
*Shota Rustaveli National Science  
Foundation of Georgia*

# საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი

# THE RED BOOK OF SOILS OF GEORGIA

თბილისი / Tbilisi, 2018

საქართველოს ნიადაგების წითელ წიგნში ქართულ და ინგლისურ ენებზე განხილულია ნიადაგების მეორიადი, იშვიათ და ეტალონურ ჯგუფებში გაერთიანების პრინციპები; მოცემულია ინფორმაცია ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორების, მორფოლოგიური ნიშნების, ძირითადი თვისებების მაჩვენებლებისა ნიადაგების წითელი ნუსხის შესახებ. ტექსტუალურ ნაწილს დართული აქვს ლანდშაფტებისა და ნიადაგების პროფილების ფერადი სურათები, ანალიზის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილებში.

საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისთვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ნიადაგების მნიშვნელობით, მათი დეგრადაციისა და დაცვის საკითხებით. წიგნში წარმოდგენილი მასალების გამოყენება შესაძლებელია ნიადაგების დაცვის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით.

In “The Red Book of Soils of Georgia” in Georgian and in English languages were reviewed principles of the “Memorial”, “Rare” and “Etalon” groups of soils. Provided information is about soil forming factors, morphological sings, the main indicators and features of soils and the “Red List”. The textual part is attached colorful photos of soil profiles and landscapes, results of data analyzes are presented in tables.

“The Red Book of Soils of Georgia” is intended for both, specialists and for a wide range of readers who are interested in the importance of Georgian soils, their degradation and protection issues. The materials presented in the book can be used to improve the legal base of soil protection.

ავტორები / Authors

**თენგიზ ურუშაძე, ვინფრიდ ბლუმი, თამარ ქვრივიშვილი, [ლეო ჯორბენაძე], გიული წერეთელი, რუსუდან კახაძე, მარიამ მერაბიშვილი, ქეთევან გოგიძე, ილია კუნჭულია**  
**Tengiz Urushadze, Winfried E.H. Blum, Tamar Kvrivishvili, [Leo Jorbenadze], Giuli Tsereteli, Rusudan Kakhadze, Mariam Merabishvili, Ketevan Gogidze, Iliia Kunchulia**

ფოტოების ავტორი / Author of photos

**გია ჩხატარაშვილი / Gia Chkhatarashvili**

რედაქტორი / Editor

**გიზო გოგიჩაიშვილი / Gizo Gogichaishvili**

რეცენზენტები / Reviewers

**ზაურ ჩანქსელიანი / Zaur Chankseliani**

**ელინა ბაკრაძე / Elina Bakradze**

გამოცემის კოორდინატორი / Publishing Coordinator

**ანა მილაშვილი / Ana Milashvili**

დიზაინი / Design

**ნატალია ლლონტი / Natalia Glonti**

ISBN 978-9941-8-0684-1

© საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, Agricultural University of Georgia

ყველა უფლება დაცულია.

დაუშვებელია წიგნის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება სათანადო წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this book may be reproduced in any form without written permission of the copyright owner.

**წინასიტყვაობა**

**FOREWORD** ..... 7

**I თავი. საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი და მისი მნიშვნელობა**

**CHAPTER I. The Red Book of Soils of Georgia and its meaning**..... 9

**II თავი. საქართველოს წითელი წიგნის ძირითადი ობიექტები**

**CHAPTER II. The main objectives of The Red Book of Soils of Georgia** ..... 16

**II.I. უნიკალური/მემორიალური ნიადაგები / II.I. Memorial Soils**

II.I.1. ყავისფერი ნიადაგები (ხრომიკ, კალკარიკ, ჰუმიკ, ეუთრიკ კამბისოლს)  
Cinnamonic Soils (Chromic, Calcaric, Humic, Eutric Cambisols) ..... 16

II.I.2. მდელოს ყავისფერი ნიადაგები  
(ხრომიკ, კალკარიკ, გლეიკ, ეუტრიკ კამბისოლს)  
Meadow Cinnamonic Soils  
(Chromic, Calcaric, Gleyic, Eutric Cambisols)..... 20

II.I.3. ყვითელ-ყომრალი ნიადაგები  
(სტაგნიკ, მოლიკ, ჰუმიკ, ფერიკ ლუვისოლს)  
Yellow Brown Forest Soils (Stagnic, Mollic, Humic, Ferric Luvisols) ..... 22

**II.II. იშვიათი ნიადაგები / II.II. Rare Soils**

II.II.1. ტერა-როსა (რენდზიკ ლეპტოსოლ)  
Terra Rossa (Rendzic Leptosol) ..... 25

II.II.2. ყომრალ-შავი ნიადაგები (ჰაპლიკ ჩერნოზემს)  
Brown Forest Black Soils (Haplic Chernozems)..... 26

II.II.3. ანდოსოლები (ანდოსოლს)  
Andosols (Andosols) ..... 28

II.II.4. მთა-მდელოს ჰუმუს-ილუვიური ნიადაგები  
(ჰიპერდისტრიკ უმბრისოლს)  
Mountain Meadow Humus Illuvial Soils (Hyperdistric Umbrisols) ..... 30

II.II.5. ნემომპალა-სულფატური ნიადაგები (სულფატიკ ლეპტოსოლს)  
Raw Sulphate Soils (Siphatic Leptosols)..... 32

**II.III. ეტალონური ნიადაგები / II.III. Etalon/Standard Soils**

II.III.1. წითელმიწები (ფერალიკ, ჰაპლიკ ნიტისოლს)  
Red Soils (Ferralic, Haplic Nitisols) ..... 33

II.III.2. ყვითელმიწები (ფერიკ ლუვისოლს)  
Yellow Soils (Ferric Luvisols) ..... 37

II.III.3. ჭაობიანი ნიადაგები (დისტრიკ, ეუთრიკ გლეისოლს, ჰისტოსოლს)  
Bog Soils (Dystric, Eutric Gleysols, Histosols) ..... 39

II.III.4. ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები (სტაგნიკ, ფერიკ აკრისოლს)  
Yellow Podzolic Soils (Stagnic, Ferric Acrisols)..... 41

II.III.5. ყვითელმიწა-ენერ-ლებიანი ნიადაგები  
(სტაგნიკ, ფერიკ, გლეიკ აკრისოლს)  
Yellow Podzolic Gley Soils (Stagnic, Ferric, Gleyic Acrisols) ..... 43

II.III.6. რუხი – ყავისფერი ნიადაგები (კალციკ, ვერტიკ კასტანოზემს)  
Grey Cinnamonic Soils (Calcic, Vertic Kastanozems) ..... 46

II.III.7. მდელოს რუხი – ყავისფერი ნიადაგები (ჰაპლიკი, გლეიკი, ვერტიკი კაშტანოზემს) Meadow Grey Cinnamonic Soils (Haplic, Gleyic, Vertic Kasranozems).....	48
II.III.8. შავი ნიადაგები (ჰაპლიკი ვერტიკისოლს) Black Soils (Haplic Vertisols) .....	50
II.III.9. დამლაშებული ნიადაგები (ვერტიკი სოლონჩაკი, მოლიკი სოლონეცი) Saline Soils (Vertic Solochaks, Mollic Solonetz).....	52
II.III.10. შავმიწები (ვორონიკი, კალციკი ჩერნოზემს) Chernozems (Voronik, Calcic Chernozems).....	54
II.III.11. კორდიან-კარბონატული ნიადაგები (რენდზიკი ლეპტოსოლს) Raw Carbonate soils (Renzic Leptosols).....	56
II.III.12. ყომრალი ნიადაგები (ჰუმიკი, ფერიკი, ეუთრიკი, დისტრიკი კამბისოლს) Brown Forest Soils (Humic, Ferric, Eutric, Dystric Cambisols).....	61
II.III.13. მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები (ჰაპლიკი უმბრისოლს) Mountain Forest Meadow Soils (Haplic Umbrisols) .....	67
II.III.14. მთა-მდელოს ნიადაგები (ჰიპერდისტრიკი უმბრისოლს) Mountain Meadow Soils (Hyperdystic Umbrisols) .....	69
II.III.15. ალუვიური ნიადაგები (გლეიკი, ეუთრიკი, დისტრიკი ფლუვიისოლს) Alluvial Soils (Gleyic, Eutric, Dystric Fluvisols).....	73
II.III.16. პრიმიტიული ნიადაგები (ლეპტოსოლს სკელეტიკი) Primitive Soils (Leptosols Skeletic) .....	78

<b>III თავი. დეგრადაციის საფრთხეები</b> <b>CHAPTER III. Threats of Degradation .....</b>	<b>80</b>
---	-----------

<b>IV თავი. საქართველოს ნიადაგების წითელი ნუსხა</b> <b>CHAPTER IV. The Red List of Soils of Georgia.....</b>	<b>82</b>
---	-----------

**დანართი 1, სხივები / ANNEX 1, TABLES**

<b>მემორიალური ნიადაგები / Memorial Soils</b>	
ძირითადი მახასიათებლები / Main Characteristics .....	92
მექანიკური შედგენილობა / Soil Texture .....	93
<b>იშვიათი ნიადაგები / Rare Soils</b>	
ძირითადი მახასიათებლები / Main Characteristics .....	94
მექანიკური შედგენილობა / Soil Texture .....	95
<b>ეტალონური ნიადაგები / Etalon/Standard Soils</b>	
ძირითადი მახასიათებლები / Main Characteristics .....	96
მექანიკური შედგენილობა / Soil Texture .....	103

<b>დანართი 2, ფოტოები / ANNEX 2, PHOTOS .....</b>	<b>109</b>
---	------------

<b>გამოყენებული ლიტერატურა</b> <b>REFERENCES .....</b>	<b>116-117</b>
---	----------------

## წინასიტყვაობა

საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნის შექმნა გულისხმობს საქართველოში გავრცელებული ყველა ნიადაგის შეტანას ამ წიგნში, რამდენადაც საქართველოსნაირი მცირემინიანი ქვეყნისთვის თითოეულ ნიადაგს გააჩნია სახალხო-სამეურნეო, სამეცნიერო და ისტორიული მნიშვნელობა. საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული ყველა ნიადაგი. მათ ესაჭიროებათ განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა, რამდენადაც რეალურად იმყოფებიან დეგრადაციის საფრთხის ქვეშ.

ნიადაგების წითელი წიგნის შექმნა ხელს შეუწყობს ნიადაგის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ფაქტიურად, არაგანახლებადი რესურსის დაცვას.

ნიადაგების წითელი წიგნი საშუალებას იძლევა შეიქმნას ხარისხობრივად ახალი სამართლებრივი ბაზა ნიადაგური მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით.

## FOREWORD

Creation of “The Red Book of Soils of Georgia” means to input all soils which are distributed in Georgia, however the country like Georgia, has small landed territory because of the soil has public-agriculture, scientific and historical meanings. “The Red Book of Soils of Georgia” has a special meaning, where will be introduced all distributed soils in Georgia. They need special warning and protection, however in fact they are under the risk of degradation.

Creation of “The Red Book of Soils of Georgia” will facilitate protection of soils as one of the valuable and practically non-renewable resource.

The Red Book of soils gives opportunity to create new qualitative legislation base for protection of soil diversity.





# I ტაკი

## საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნი და მისი მნიშვნელობა

# CHAPTER I

## THE RED BOOK OF SOILS OF GEORGIA AND ITS MEANING

ნიადაგი, როგორც ბიოლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენათა ერთობლივი ზემოქმედების შედეგი, ეკოსისტემის განსაკუთრებულ კომპონენტს წარმოადგენს და როგორც ბუნებაში, ისე ადამიანთა საზოგადოებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებს. ნიადაგის გარეშე სხვა ტექნოლოგიური და ხელოვნური საშუალებებით ვერ შესძლებს ადამიანთა საზოგადოება კაცობრიობის გამოკვებას. ნიადაგი არის სოფლის მეურნეობის ძირითადი და განსაკუთრებული საწარმოო საშუალება. მხოლოდ ნიადაგის რაციონალური გამოყენებით, რაც გულისხმობს მაღალი მიწათმოქმედების კულტურას, შეიძლება მიღწეულ იქნას მცენარის მაქსიმალური ზრდა-განვითარება და შესაბამისად, მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება. კიდევ უფრო დიდი როლი აკისრია ნიადაგს ბუნებაში. იგი, როგორც სასიცოცხლო პროცესების ზემოქმედების შედეგი, თვითონ არის სიცოცხლის წყარო, რაც განსაზღვრავს ნიადაგის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბიოსფეროში. ნიადაგი ისეთი ბუნებრივი სხეულია, რომელშიც აქტიურად მიმდინარეობს როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანთა საქმიანობით წარმოქმნილი ანარჩენების უტილიზაცია, დაშლა, გარდაქმნა.

სამწუხაროდ, უკანასკნელი საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდამ თავისი უარყოფითი დალი პირველ რიგში ნიადაგს დაატყო-მკვეთრად შემცირდა სახნავი მიწების სავარგულები, გაიზარდა ნედლეულის მოპოვების მიზნით ნირშეცვლილი ნიადაგური საფარის ფართობები, წლიდან-წლამდე მატულობს დანაგვიანება პესტიციდებით, სასუქებით, მძიმე მეტალებით, იმლაერა ირიგაციულმა და განსაკუთრებით, წყლისმიერმა

The soil as a result of joint influence of biological and geological occasions, presents a special component of ecosystem, like in nature and in human society which has a great role.

By another technological and artificial opportunities, the humanity can not feed human society without soil.

For agricultural producing the soil is the main and special opportunity.

By the rational land use, which indicates high culture of farming, supposed to be reached the maximum vegetation of the plant and supposedly, harvested of high and qualitative yield.

The soil has much bigger role in the nature. The soil is the source of the life and this is the result of influence of vital processes, this leads a special role of the soil in the biosphere. The soil is natural body, where goes utilization process of waste, disintegration and convention by human activity.

Unfortunately, during last centuries the progress of increasing of scientific-technical issues and its negative influence firstly reflected on the soil itself. Decreased arable lands, increased areas of soil cover, which changed by raw materials, year-by-year increasing pollution by pesticides, by fertilizers, heavy metals, increased irrigation and especially, water and wind erosions.

და ქარისმიერმა ეროზიამ. ნიადაგის რესურსებთან მიმართებაში საგანგაშო მდგომარეობა გამოწვეულია, სხვა მიზეზებთან ერთად, პირველ რიგში გაუთვითცნობიერებით, საკითხის სუსტი პროპაგანდით, მთელი საშობრების გაუთვალისწინებლობით. ნიადაგის რესურსების ხარისხობრივად გაუმჯობესება, მათი მდგრადი გამოყენება მიზანმიმართულია ნიადაგების დაცვისკენ.

ნიადაგების წითელი წიგნის შექმნა ხელს შეუწყობს ნიადაგის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ფაქტიურად, არაგანახლებადი რესურსის დაცვას. უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა ნიადაგების წითელი წიგნის შექმნასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც მიმართულია ნიადაგდაცვითი საკითხებისკენ და მოიცავს ეტალონური, იშვიათი, განადგურების ან გაქრობის პირას მყოფი ნიადაგების დახასიათებას. წითელ წიგნებში წარმოდგენილი მასალა შესრულებულია მრავალწლიანი ექსპედიციური და ანალიზური კვლევების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც განხილულია ნიადაგების დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები და მათი დაცვის ღონისძიებები.

ნიადაგის წითელი წიგნი საშუალებას იძლევა შეიქმნას ხარისხობრივად ახალი სამართლებრივი ბაზა ნიადაგური მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით. ნიადაგების წითელი წიგნის შექმნისას შესაძლებელია ორი ძირითადი მიდგომის გამოყოფა:

1. წითელი წიგნის ძირითადი ობიექტების – ეტალონური, იშვიათი, უნიკალური და განადგურების პირას მისული ნიადაგების გამოვლენა, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი სამეცნიერო, პრაქტიკული, ბიოსფერული და ისტორიული მნიშვნელობა;
2. ამ ნიადაგების დაცვა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის გაფორმებით, რომლის საფუძველზეც ნიადაგები იურიდიულად დაცული იქნება განადგურებისგან, დეგრადაციის გამომწვევი პროცესებისგან (დაბინძურება, მშენებლობა და სხვ.).

ნიადაგების წითელი წიგნის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი არის იმ გამოცდილების გაზიარება, რაც თან ახლავს მცენარეთა და ცხოველთა წითელი წიგნის შექმნას. როგორც ცნობილია მცენარეთა/ცხოველთა წითელი წიგნი ეხება იშვიათ და გადაშენების პირას მისულ სახეობებს. მათ დასაცავად აუცილებელია სახეობების მდგომარეობის ცოდნა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს „წითელი წიგნი“, რომელშიც შეყვან-

By the worst understanding, with weak popularization and less consideration of the whole danger of the issue related to alarming condition caused by other reasons in relation to soil resources.

For qualitative developing of soil resources and their sustain use, is directed to soil protection.

Creation of “The Red Book of Soils of Georgia” will facilitate protection of soils as one of the valuable and practically non-renewable resource. In the last period, high attention is paid to creation of Red Book of Soils and addressing all relevant problematic issues connected to characterisation of soils that comprise Standard, Rare, Endangered to be destroyed or Extinct groups. Materials presented in the Red Book have been gathered by multiyear expeditions and analytical researches. Results of causes of degradation of soils and approaches of their protection are presented.

“The Red Book of Soils” gives ability to create new legislation base, for protection of soil diversity. For creation of the book two main approaches can be determined: 1. Identification of the main objects of the book – Standard, Rare, Unique or Endangered to extinction that have high scientific, practical, biospheric and historic importance;

2. Protection of these soils based on creation of relevant legislative document, allowing to protect soils from destruction and degradation processes (pollution, construction, etc.). One of the most important basis for creation of the Red Book of Soils is sharing of experience from creation of The Red Book of Plants and Animals. As it is well known, the plant/animal red book is about species that are Endangered with high risk of extinction in the wild. For protection of these species it is important to know current condition of populations. This

ნილ იქნა მცენარეების, ძუძუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიების, ამფიბიების და თევზების გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები. მისი მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება. არსებობს მოსაზრება, რომ ნიადაგების წითელი წიგნიც შეიქმნას მსგავსი მიზნით. თუმცა სრული ანალოგია შეუძლებელია, რაც გამოწვეულია ნიადაგწარმოქმნის სპეციფიკით, ნიადაგების მრავალფეროვნებითა და ნიადაგებზე ანთროპოგენური ფაქტორის გავლენით.

ნიადაგდაცვით საკითხებზე მუშაობა გააქტიურდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ამკარად აღიარებული იქნა ნიადაგების სწრაფი დეგრადაცია. განსაკუთრებით, რეგიონალური და გლობალური ხასიათის ეროზია და დაბინძურება. დასაცავი ნიადაგების ობიექტების განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ნიადაგების სამი კატეგორია: ბუნებრივი (ყამირი), ადამიანის მიერ ათვისებული და გაკულტურებული ანუ არსებითად მაღალი ნაყოფიერების ნიადაგები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია რაციონალურ მიწათსარგებლობასთან. იქიდან გამომდინარე, რომ მაღალი ანთროპოგენური ფაქტორის გავლენა და მისგან გამოწვეული ცვლილებები, ყამირი ნიადაგებიდან, როგორც ეტალონური ნიადაგების კატეგორიიდან, წითელ წიგნში მიზანმიმართულად ჩართული უნდა იქნას ის ნიადაგები, რომელთათვისაც ანთროპოგენური ფაქტორების გავლენით არსებობს საფრთხე მნიშვნელოვნად შეცვლის, დეგრადაციის ანდა გაქრობის. მოცემული კატეგორიის ნიადაგების დაცვის ძირითადი ამოცანა გულისხმობს ბუნებრივი ნიადაგების მრავალფეროვნების, ნიადაგური საფარის სტრუქტურისა და მათი ბიოცენოზების შენარჩუნებას. ძალიან რთულ ამოცანად რჩება ყველა იშვიათი და გაქრობის პირას მისული ნიადაგების გამოვლენა, რამდენადაც ბუნებრივ ნიადაგებში ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი: ეროზია, ურბანიზაცია, დაბინძურება და სხვ. დაცვის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ათვისებელი ანუ ისეთი ნიადაგების შეტანა წითელ წიგნში, რომლებიც ნაკლებად განიცდიან ანთროპოგენურ ზეწოლას, თუმცა ასეთ ტერიტორიებზე შეიძლება აქტიურად მიმდინარეობდეს დეგრადაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი (დეფლაცია, მზრალობა, დამლაშება

was the reason for creation of “The Red Book of Georgia”, where Endangered species of plants, mammals, birds, reptiles, amphibians and fishes were included. Its main goal is to ensure protection and restoration of endangered varieties and conservation of species’ diversity and genetic resources on the territory of Georgia. The aim was to create similar book for soils as well. But the full analogy of the book, is not possible to create, because of specificity of soil formation factors, diversity of soils and anthropogenic factors affecting on it.

Working on issues related to protection of soils became active from the second half of XX century when rapid degradation processes of soils were observed. Especially, erosion and pollution on regional and global scales. During identification of soils, that need to be protected, it is important to consider three categories: Natural (uncultivated), Used by humans and Cultivated e.g. high fertility soils that were formed under influence of rational land use. Coming out the fact that for uncultivated soils effect of changes in soil properties are high by human influences, in the book must be introduced soils, that are under risk of abrupt change, degradation of vanishing. The main goal for protection of such soils is conservation of diversity of natural soils, structure of soil cover and their bio-communities. It is still very hard to identify all Rare and Endangered to vanishing soils, because for Natural soils, reasons for that can be different factors: erosion, sealing, pollution, etc. In terms of protection, no less important virgin soils, which less affected anthropogenic pressure, meanwhile, such territories can still be affected by different degradation processes (depletion, permafrost, salinization, etc.). Since existence of civilization, because of degradation, humanity has already

და სხვ.). კაცობრიობამ ცივილიზაციის არსებობის პერიოდში, დეგრადაციის შედეგად, მთლიანად დაკარგა 2 მილიარდ ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი ნიადაგი. ნიადაგების წითელი წიგნი წარმოადგენს ნიადაგების დაცვის საფუძველს, რომლებიც განიცდიან დეგრადაციას და შეიძლება საერთოდ გაქრნენ დედამიწიდან. მისი შექმნის მიზანი არის: ნიადაგების დეგრადაციის საფრთხეების დონის შეფასება, საზოგადოების ყურადღების გამახვილება ნიადაგების დაცვის პრობლემისადმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემის მდგრად ფუნქციონირებას.

წითელი წიგნის შექმნა მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვითი და დეგრადაციის საკითხების განვითარების მიზნით. ნიადაგური რესურსები, პრაქტიკული გამოყენების გამო, იმყოფებიან სხვადასხვა საფრთხის ქვეშ. ადამიანის ინტენსიური საქმიანობა (ტექნოგენური, სასოფლო-სამეურნეო, რეკრეაციული და სხვ.) იწვევს მათ დეგრადაციას. ნიადაგური რესურსების მდგრადი მენეჯმენტი დაკავშირებულია დაცვის სტრატეგიებთან და ოპერატიულ პროცედურებთან. ყველაზე მნიშვნელოვან გლობალურ საფრთხეებად მიჩნეულია: ეროზია, დაბინძურება (ლოკალური და დიფუზიური), ორგანული ნივთიერებებისა და ბიომრავალფეროვნების დანაკარგი, დატკეპვნა და ფიზიკური თვისებების გაუარესება, წყალდიდობა და მენყერი, გამკვრივება, სამრეწველო და ქალაქის ობიექტების მშენებლობა.

წითელი წიგნის ობიექტები უმეტესად გაერთიანებულია შემდეგ ჯგუფებად: 1. იშვიათი ანუ რარიტეტული ნიადაგები, რომლებიც იკავებენ მცირე არეალს; 2. უნიკალური ნიადაგები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული სამეცნიერო და ისტორიული მნიშვნელობა; 3. ეტალონური ანუ არატრანსფორმირებული სტანდარტული ნიადაგები, რომლებსაც ახასიათებთ ნიადაგების კლასიფიკაციის ტაქსონომიური ერთეულის (ტიპი, ქვეტიპი, გვარი და ა.შ.) შესაბამისი ბუნებრივი ნიშან-თვისებების შედარებით სრული გამოხატულება. წითელი წიგნებში ასევე ჩართულია გაქრობის პირას მყოფი ნიადაგები, რომლებიც საჭიროებენ რეალურ დაცვას, რამდენადაც ისინი განიცდიან მნიშვნელოვან ნეგატიურ აგროგენურ ან ტექნოგენურ ზემოქმედებას. წითელი წიგნში შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც ბუნებრივი, ასევე გაკულტურებული ნიადაგები, რომელთაც ემუქრება დეგრადაცია.

საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნზე მუშაობა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

lost more than 2 billion hectares of fertile land. The Red Book of Soils represents bases of protection of soils, that are affected by degradation and could be vanished. The goal for its creation is: assessment of levels of degradation of soils, raising awareness and paying attention from society to soil protection issues, that can guarantee sustainable functioning of ecosystems.

Creation of the Red Book is important for development of soil protection and degradation issues soil resources for its practical use are under the different treat. Intensive activity of humans (technogenic, agricultural, recreational, etc.) leads their degradation.

The sustainable management of soil resources linked to protection strategies and operative procedures.

The most important global treatment is considered: erosion, pollution (local and diffusive), organic matters and loss of biodiversity, pressing and worsening the physical features, flooding and landslides, process of dense, industrial and construction of the city.

The objectives of the book are mainly united into following groups: 1. Rare e.g. raritet soils, that occupy relatively small area; 2. Unique soils that have significant scientific and historical meaning; 3. Standard e.g. non-transformed soils that are characterised by more or less complete relevant natural features of taxonomic units of a classification system (type, subtype, family, etc.) The red books also comprise soils that are endangered to extinction and need real protection because they are affected by significant negative agrogenic or technogenic effects.

In the Red Book of Soils of Georgia there could be apply natural and cultural soils, which are under the risk of degradation.

Working on "The Red Book of Soils of Georgia" goes through following sta-

წიგნის კონცეფციის დამუშავება; წითელი წიგნის ობიექტების ეტალონური, იშვიათი და უნიკალური/მემორიალური ნიადაგების სიის შედგენა; ნიადაგების პროფილების მორფოლოგიური და ანალიზური მახასიათებლების დადგენა, რომელსაც საფუძვლად უდევს კვლევები WRB სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნის შექმნის მიზნით, რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი 2016-ის ფარგლებში მიმდინარე გრანტი, ხელშეკრულება № AR 216726) სამეცნიერო კვლევები მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ნიადაგებს, ძირითადად, მათ ბუნებრივ, აუთვისებელ კატეგორიებს.

საქართველოსთვის როგორც მცირემიწიანი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის რესურსის პოპულარიზაციას და დაცვას, რომელსაც ხელს უწყობს ნიადაგების წითელი წიგნის შექმნა.

საქართველოს ნიადაგების წითელი წიგნის შექმნის ძირითადი არგუმენტებია: საზოგადოების ყურადღების გამახვილება ნიადაგური საფარის მნიშვნელობაზე; საგანმანათლებლო/მეცნიერებითი და საინფორმაციო დონის ამაღლება ნიადაგების შესახებ; ნიადაგების დეგრადაციის გამომწვევი ძირითადი საფრთხეების გამოვლენა/დადგენა; რეკომენდაცია გაუწიოს ნიადაგების დაცვის სამართლებრივი ბაზის შექმნას.

საქართველოს მიწის 1994 წლის 12 მაისის კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს ცალკეულ აკრძალვებს, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა მისი მთლიანობისა და ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით. კანონის თანახმად ნიადაგის დაცვის მიზნით აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც იწვევს მისი თვისებების გაუარესებას და დეგრადაციას. საქართველო მეტწილად მთიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიის 53,6% მთას უკავია, 33,4% – მთისწინებს, ხოლო ბარს ტერიტორიის მხოლოდ 13% უჭირავს. ამიტომ საქართველოში დასამუშავებელი მიწების ხვედრითი წილი ძალიან დაბალია. საქართველო მცირემიწიანი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,64ჰა და სახნავის 0,14ჰა. ყველა მიწათმოსარგებლე ვალდებულია სწორად და მიზანდასახულად გამოიყენოს მიწის ნაკვეთი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სისტემატურად

ges: Processing of concept of the book; Creation of list of the objective Standard, Rare and Unique soils; Morphological and results of analysis of the soil profiles that are based on field works according to the WRB standards.

For creation of “The Red Book of Soils of Georgia” that is being conducted by financial support of Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFG) (State Scientific Grant Competition, current project, 2016 contract № AR216726).

The research investigates mainly undisturbed, natural dominant soils from West, East and South Georgia.

For Georgia, as a small area country, it is very important to popularise and protect land resources, that will be facilitated by creation of the Red Book.

The main arguments for creation the book are: Attracting society’s attention to the importance of soil cover; Raising educational/awareness and informational levels regarding soils; Identification of the main reasons for soil degradation and threats; Recommendation for creation legislative base for protection of the soils.

Georgian law from 12<sup>th</sup> of May 1994 “About Land Protection” considers individual restrictions that aim to protect soil and preserve its unity and fertility. According to the law actions that causes worsening of soils’ properties and degradation are not allowed. Georgia is mountainous country and 53.6% of its territory is covered by mountains, 33.4% by foothills and only 13% by lowlands. Because of that, area of non-arable lands is very small. Georgia is small land country. Per person is available only 0.64ha of agricultural, including 0.14ha arable lands. All land owners must use their lands properly and purposeful, all agricultural areas must systematically be improved and must not be reduced. Res-

უნდა უმჯობესდებოდეს და არ უნდა მოხდეს მათი შემცირება. შესაბამისად, ყველა მიწათმოსარგებლელ უნდა ატარებდეს აგროტექნიკურ, მელიორაციულ, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ნიადაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად და მათი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ნიადაგების წითელ წიგნში გამოიყო სამი ჯგუფის ნიადაგები: უნიკალური/მემორიალური, იშვიათი და ეტალონური. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არ არის შემუშავებული წითელი წიგნის ნიადაგების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს ნიადაგების წითელ წიგნში მოტანილი დაჯგუფებები ნაწილობრივ სუბიექტური კრიტერიუმებით განხორციელდა, თუმცა გათვალისწინებულია ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ იშვიათ ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი ნიადაგები, რომლებიც იკავებენ მცირე ფართობს და გააჩნიათ თავისი განსაკუთრებული მორფოლოგია, თუმცა დამატებით კრიტერიუმებად ვითვალისწინებთ, რომ ჩვენნაირი მცირემიწიანი ქვეყნისთვის იშვიათი ჯგუფის ნიადაგებს ასევე გააჩნიათ სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. უნიკალურ ნიადაგებს აერთიანებენ ცალკე ჯგუფად, უნიკალურობას განსაზღვრავს ნიადაგნარმოქმნის სპეციფიკური ფაქტორები ანდა განსაკუთრებული სამეცნიერო, ისტორიული მნიშვნელობა (არქეოლოგიური გათხრების ნიადაგები, ხანგრძლივი სამეცნიერო ცდების ობიექტი, მემორიალური მნიშვნელობა და სხვ.) ჩვენს მიერ წარმოდგენილ დაჯგუფებაში უპირატესობას ვანიჭებთ მემორიალურ მხარეს და უნიკალურად მივიჩნევთ ისეთ ნიადაგებს, რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი პირველად სწორედ საქართველოში აღნერეს და გამოყვეს დამოუკიდებელ გენეზისურ ტიპებად.

ნიადაგური ეტალონები, უმეტეს შემთხვევაში, ხასიათდებიან ნიადაგების სისტემატიკის ტაქსონის სპეციფიკური ნიშნების ყველაზე სრულყოფილი გამოხატულებით. საქართველოს ნიადაგების წითელ წიგნში ასეთ ტაქსონომიურ ერთეულად მივიჩნევთ ნიადაგის ტიპს. აქედან გამომდინარე, ეტალონური ჯგუფის ნიადაგებში ვაერთიანებთ საკვლევე ტერიტორიის დომინანტ ნიადაგებს, რომლებიც ყველაზე მეტად ინარჩუნებენ ტიპისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

საქართველოს ნიადაგების წითელ წიგნში არ გვაქვს ცალკე ჯგუფად გამოყოფილი გაქრობის

pectively, all landowners must conduct agrotechnical, meliorative, anti-erosion measures for conservation of soil fertility and ensuring rational use.

In The Red Book of the Soils of Georgia there are three groups of soils: Standard, Rare and Unique or Memorial. It must be mentioned that there are no internationally agreed standards for classification of soils for a Red Book and in the book of Georgian authors went partially to subjective selections, but experiences of other countries were taken into account. We share the idea that in Rare group must be united such soils, that occupy small area, but for additional criteria we consider, that soils in the Rare group also have scientific and practical meaning.

Unique soils are united into separate group, mainly, according to principle: they are unfavoured with their exotic morphology.

Iniquity is determined by specific factors of soil formation and/or special scientific/historical meaning (soils at archeologically sites, objectives of long term scientific experiments, memorial meaning, etc.) In the groupings, presented in the article, we prefer memorial side and include in the Unique group soils, that have historical meaning, because they were first described and separated as independent genetic types in Georgia.

Standard soils in the most cases are characterised by the most perfect expression of special features of soil systematics' taxa. In "The Red Book of Soils of Georgia", we consider soil type as such systematic taxa. Therefore, in the research area in Standard soil group we unite dominant soil types that preserve features, characterised for the type in general the most.

In the book we do not have separate group for Endangered to vanishing and/

პირას მყოფი და/ან გამქრალი ნიადაგები, რომლებიც აღნიშნულია სხვადასხვა წითელ წიგნში. ნიადაგების და მათთან ერთად ეკოსისტემების გაქრობის პროცესი რთულად შესამჩნევია. აქედან გამომდინარე, მათზე დაკვირვება (რამდენადაც ამ პროცესების შედეგი ცნობილი და შესამჩნევი ხდება მოგვიანებით და არა მყისიერად) და სამეცნიერო შესწავლა საჭიროებს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნიადაგურ საფარში გვხვდება რელიქტური ნიადაგები, სხვადასხვა ასაკის და ნამარხი ნიადაგები (ყავისფერი ნიადაგები წითელი ფერის ჰორიზონტით, ორტმტეინის ფენის სისქის შეუსაბამობა ყვითელმიწა-ენური ნიადაგების ასაკთან და სხვ.), რომლებმაც სავარაუდოდ განიცადეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბუნებრივი (ბიოკლიმატური, გეოლოგიური) ფაქტორებისგან და ფაქტიურად იმყოფებიან გაქრობის საფრთხის ქვეშ ანდა უკვე გაქრნენ.

უნიკალური/მემორიალური ნიადაგების ჯგუფი წარმოდგენილია სამი ტიპის ნიადაგით: ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი და ყვითელ-ყომრალი. სამივე მათგანს აქვს განსაკუთრებული მემორიალური მნიშვნელობა. პირველად სწორედ საქართველოში მოხდა მათი აღწერა, დამოუკიდებელ გენეზისურ ტიპად გამოყოფა და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღეს მათ მსოფლიო მასშტაბით აღიარება.

იმვიათი ჯგუფის ნიადაგებს მიეკუთვნებიან: რენძინო-წითელი ნიადაგები ე.წ. "Terra Rossa", მთა-მდელოს ჰუმუს-ილუვიური, ყომრალ-შავი ნიადაგები და ანდოსოლები.

ეტალონური ნიადაგების ჯგუფის ფარგლებში გამოიყოფა: წითელმიწები, ყვითელმიწები, ყვითელმიწა-ენური, ყვითელმიწა-ენერლებიანი, ყომრალი, კორდიან-კარბონატული, რუხი-ყავისფერი, მდელოს რუხი-ყავისფერი, შავი, შავმიწა, მთა-ტყე-მდელოს, მთა-მდელოს, დამლაშებული და ალუვიური ნიადაგები.

or vanished soils that are mentioned in other Red Books.

It is hardly observable processes of vanishing of soils and together with it ecosystems. Therefore, their observation (as results of monitoring the degradation processes are available and observable later and not instantly) and scientific examination needs long period. It is remarkable that in Georgian soil cover we get across relict soils, as well as buried soils of different ages (Cinnamonic soils with red horizon, inappropriate thickness of Ornstein layer to age of Yellow podzolic soils, etc.) that supposedly underwent significant influence from natural (bioclimatic, geologic) factors and practically are under threat of vanishing or have already vanished.

Unique/Memorial soil group is represented by three types of soils: Cinnamonic, Meadow cinnamonic and Yellow brown forest. Three of them have special memorial meaning. Firstly, it was described in Georgia, as an independent type of genesis and only after that they received the recognition by the world scale.

Rare soil group belongs: Rendzic Red-called "Terra Rossa", Mountain meadow humus illuvial, Brown forest black, Andosols.

In Standard group belongs: Red, Yellow, Yellow podzolic, Yellow-gley podzolic, Brown forest, Grey cinnamonic, Meadow grey cinnamonic, Black, Mountain forest meadow, Saline and Alluvial soils.



# II თ ა ვ ი

## საქართველოს წითელი წიგნის ძირითადი ობიექტები

საქართველოს წითელი წიგნის ძირითად ობიექტებს მიეკუთვნებიან: უნიკალური ანუ მემორიალური ჯგუფის ნიადაგები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობით. იშვიათი ანუ რარიტეტული ჯგუფის ნიადაგები, რომლებიც იკავებენ მცირე ფართობს, გამოირჩევიან შეზღუდული გავრცელებით, გააჩნიათ თვითმყოფადი პროფილი, სამეცნიერო და პრაქტიკულია ღირებულება. ეტალონურ ჯგუფში გაერთიანებული სტანდარტული, არატრანსფორმირებული ნიადაგები, რომლებიც შედარებით სრულად ახასიათებენ ნიადაგის ყველაზე მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულს – ტიპს.

### II.1. უნიკალური/მემორიალური ნიადაგები

#### II.1.1. ყავისფერი ნიადაგები (ხრომიკ, კალკარიკ, ჰუმიკ, ეუთრიკ კამბისოლს)

ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,8% (311600ჰა-ს). ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ტყე-სტეპის ზონაში, ძირითადად, ზღვის დონიდან 500(700)-900(1300)მ ფარგლებში. მათი ქვედა საზღვარი ესაზღვრება მდელოს-ყავისფერ, რუხ-ყავისფერ და შავ (ბარის შავმინები), ხოლო ზედა – ყომრალ ნიადაგებს.

ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან მშრალი სუბტროპიკების კლიმატის პირობებში – თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურაა

# CHAPTER II

## THE MAIN OBJECTIVES OF THE RED BOOK OF SOILS OF GEORGIA

Thus, the main objectives of “The Red Book of Soils of Georgia” are: soils united in Memorial group of soils which are determined with special historical meaning. Unique, Rare e.g. raritet soil group, that occupy small area, have limited occurrence, original profile and scientific and practical meaning. Standard group, that relatively completely characterize the biggest taxonomic unit – type.

### II.1. MEMORIAL SOILS

#### II.1.1. Cinnamonic Soils (Chromic, Calcaric, Humic, Eutric Cambisols)

In Georgia the total area of Cinnamonic soils is 4,8% (311600ha). They are distributed in East Georgia in the subtropical forest steppe zone, mainly between 500m (700m) and 900m(1.300m) a.s.l. At its lower borders there are meadow cinnamonic, grey cinnamonic and black (plain) chernozems, at the upper border brown forest soils.

Cinnamonic soils are formed under a dry subtropical climate with warm, almost snowless winters and hot, dry summers.

9,3-12,5°C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეიძლება თვემდეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 2800-3800°C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 300-დან 800მმ-მდე. აღინიშნება ნალექების ორი მაქსიმუმი – გაზაფხულის დასასრულს და შემოდგომის დასაწყისში. ცივ პერიოდში ნალექების რაოდენობა მინიმალურია. დატენიანების კოეფიციენტი უდრის 0,5-0,8. ამის შედეგად ნიადაგის ტენის რეჟიმის ტიპი იმპერმაციდულია, ე.ი. აორთქლება აჭარბებს მოსული ნალექების რაოდენობას. რელიეფის უდიდესი ნაწილის ფორმირება ძირითადად დაკავშირებულია ეროზიულ პროცესებთან. ზოგიერთ ადგილას რელიეფი წარმოდგენილია მენყრული ფორმებით. ბევრ ადგილას ფერდობებს კვეთს მრავალრიცხოვანი საკმაოდ დიდი სიგანის ხეხვები. რეგიონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში, ძირითადად, მონანი-ლეობენ პალეოგენიდან – ქვიშა-თიხოვანი და ვულკანოგენური ფორმაციები, ხოლო ნეოგენიდან – კონგლომერატები, ქვიშაქვები და კირქვები. დამრეცი ფერდობები და შლიეფები კი ალუვიონებით არის წარმოდგენილი. ყავისფერი ნიადაგების არეალის კლიმატის თავისებურება, ქანების ორვალენტური კათიონების სიმდიდრის გამო, ხელს უწყობს კარბონატებით მდიდარი გამოფიტის ქერქის წარმოქმნას. ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია არიდული მეჩხერებით და მუხნარებით. ყავისფერი ნიადაგების არეალის დიდი ნაწილი ათვისებულია და არსებული ლანდშაფტები თითქმის მთლიანად ანთროპოგენული ხასიათისაა.

The average temperature is 9,3-12,5°C. The duration of the vegetation period is about seven months long. The sum of active temperature fluctuates between 2.800 and 3.800°C with an annual average precipitation between 300 and 800mm. It is Mentionable two maxima at the end of spring and at the beginning of autumn. In the cold period the precipitation is very low. The annual humidity coefficient is 0,5-0,8. As a result, the soil water regime is impermacidic, i.e. the evaporation exceeds the precipitation. The biggest part of soil formation is related to erosion processes. In some areas the relief is represented by forms of landslide. In many places the slopes are crossed by much quit large widness gorges. The geology of the north-western part of the region consists of paleogen sand clay and volcanogenic formations, but from neogen also conglomerates, sandstones and limestones. Steep slopes and planes are presented by aluvions. Due to the climate and parent rocks rich in bivalent cations, carbonate layers are developed. The vegetation consists of dry forests with predominant oaks. The large area of Cinnamonic soils used by the landscape is almost completely of antropogenic nature.

**ნიდაგის დასახილვა**

**ადგილმდებარეობა:** საფარა, ს.ზ.დ. 1300მ, N 41°36.928' E 043°00.476'

**რელიეფი:** ფერდობის ძირი

**მცენარეული საფარი:** მეორადი ქსეროფიტული მცენარეები – ძეძვი და ღვია

**ნიადაგწარმოქმნელი ქანი:** დელუვიური ნაფენები

A – 0-10სმ – 10YR3/2, მარცვლოვან-კომტოვანი, თიხნარი, ფესვები ბევრი, წვრილი ხირხატი ბევრი, მკვრივი, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით, გადასვლა თანდათანობით;

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Sapara, 1300m a.s.l., N 41°36.928' E 043°00.476'

**Relief:** bottom of slope

**Vegetation:** xerophytic vegetation: Christ's thorn, Jerusalem thorn (*Paliurus spina-christi*) and *Juniper*

**Parent material:** Delluvial deposits

A – 0-10cm – 10YR3/2, granular-crumby, loamy, abudant roots, abundant pebbles, dense, effervescense with 10% HCl;

AB – 10-22სმ – 2,5Y4,5/2, მარცვლოვან-კომტოვანი, ფესვები, ხირხატი, თიხნარი, მცირე რაოდენობით  $\text{CaCO}_3$  კონკრეციები (White Page N/9,5), ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით, გადასვლა ნათელი;

B<sub>1</sub> – 22-40სმ – 2,5Y5/2, კომტოვანი, თიხნარი, მშრალი, მომკვრივო, ფესვები ცოტა, ხირხატი,  $\text{CaCO}_3$  კონკრეციები ცოტა (White Page N/9,5), ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით, გადასვლა თანდათანობით;

B<sub>2ca</sub> – 40-60სმ – 2,5Y5/3, კომტოვანი, თიხნარი, მომკვრივო, ფესვები ერთეული, მშრალი, ბევრია  $\text{CaCO}_3$  კონკრეციები (White Page N/9,5), ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით, გადასვლა თანდათანობით;

BC – 60-95სმ – 2,5Y6,5/2, კომტოვანი, თიხნარი, მომკვრივო, მშრალი, ხირხატი, ერთეული ფესვები,  $\text{CaCO}_3$  კონკრეციები (White Page N/9,5), ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

ნიადაგი ხასიათდება მეტამორფულ ჰორიზონტში კალციუმის კარბონატის კონკრეციების დაგროვებით. სუსტად ტუტე, ტუტე და ძლიერ ტუტე რეაქციით (pH –7,97-8,6), შთანთქმის ტევადობა მაღალია და 100გ ნიადაგში ცვალებადობს 31,78-35,48მგ. ექვ.-ის ფარგლებში. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg. ჰუმუსის მაქსიმალური რაოდენობა 2,82% შეადგენს და სიღრმეში თანდათანობით მცირდება. კალციუმის კარბონატის რაოდენობა სიღრმით ჰორიზონტებში მკვეთრად მატულობს. მექანიკური შედგენილობით პროფილის ჰუმუსოვანი ჰორიზონტები საშუალო თიხნარს მიეკუთვნებიან, სიღრმეში ფიზიკური თიხის



ყავისფერი ნიადაგი  
Cinnamonic Soil

AB – 10-22cm – 2,5Y4,5/2, granular-crumbly, roots, skeleton, loamy, few  $\text{CaCO}_3$  concretions (White Page N/9,5), strong effervescence with 10% HCl;

B<sub>1</sub> – 22-40cm – 2,5Y5/2, crumbly, loamy, dry, slightly dense, few roots, skeleton, few  $\text{CaCO}_3$  concretions (White Page N/9,5), strong effervescence with 10% HCl;

B<sub>2ca</sub> – 40-60cm – 2,5Y5/3, crumbly, loamy, slightly dense, singular roots, dry, abundant  $\text{CaCO}_3$  concretions (White Page N/9,5), strong effervescence with 10% HCl;

BC – 60-95cm – 2,5Y6,5/2, crumbly, loamy, slightly dense, dry, skeleton, sparse roots,  $\text{CaCO}_3$  concretions (White Page N/9,5), strong effervescence with 10% HCl.

The profile is characterised by accumulation of metamorphic calcium carbonates.

The profile is characterized by weak alkaline, alkaline and strong alkaline reactions (pH –7,97-8,6), absorption capacity is high and in 100g. of soil fluctuates between 31,78-35,48 mg equivalent. From absorbed bases Ca predominates Mg. Maximum content of humus is 2,82% and decreases in lower



საფარას მიდამოები (ახალციხის მუნიციპალიტეტი)  
EnWvirons of Sapara (Akhaltshikhe munitipality)

ფრაქციის რაოდენობა მატულობს და მექანიკური შედგენილობა ხდება მძიმე თიხნარი. ლექის ფრაქციის შემცველობა პროფილის სიღრმეში შედარებით სტაბილურია. <0,001მმ ფრაქციის რაოდენობა 17-20%-ს, ფიზიკური თიხის ნაწილაკების შემცველობა – 40-47% შეადგენს.

part. Content of calcium carbonates abruptly increases in depth. According to texture humus horizons have medium loam, in depth content of physical clay and texture becomes heavy loam. Content of clay fraction in depth is relatively stable. Content of <0,001mm fraction is 17-20% and physical clay particles are 40-47%.

**ნიადაგის დასახელება**

**ადგილმდებარეობა:** მცხეთის რაიონი, სოფ. ქარსანი, ს.ზ.დ. 482მ, N 41°49.944' E 044°43.075'

**რელიეფი:** ფერდობის ძირი

**მცენარეული საფარი:** მეორადი ქსეროფიტული მცენარეები: ძეძვი და ღვია

**ნიადაგწარმომქმნელი ქანი:** დელუვიური ნაფენები

**A' – 0-20სმ – 10YR3/4,** მარცვლოვან-კომტოვანი, თიხნარი, ხირხატი ძალიან ცოტა, მშრალი, მომკვრივო, ფესვები დიდი რაოდენობით, ძლიერ შიშინებს 10% HCl-ის მოქმედებით;

**A'' – 20-30სმ – 10YR3,5/4,** კომტოვანი, თიხნარი, ხირხატი ცოტა, მშრალი, მკვრივი, კირის თვლები (5Y8/2), ფესვები ცოტა, ძლიერ შიშინებს 10% HCl-ის მოქმედებით;

**AB – 30-50სმ – 10YR4/4,** კომტოვანი, თიხნარი, ხირხატი ცოტა, მშრალი, მკვრივი, კირის თვლები

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Mtskheta district, village Karsani, 482m a.s.l., N 41°49.944' E 044°43.075'

**Relief:** Bottom of a slope

**Vegetation:** Secondary xerophytic vegetation: *Paliurus spina-christi* Mill., *Juniperus*

**Parent material:** Deluvial deposits

**A' – 0-20cm – 10YR3/4,** granular-crumby, loamy, very few rock fragments, dry, slightly dense, abundant roots, strong effervescence with 10% HCl;

მელიც სიღრმით ჰორიზონტებში გადადის სუსტად ტუტე რეაქციაში (pH – 7,75-7,87). შთანთქმის ტევადობა 100გ ნიადაგში ცვალებადობს 33,46-40,92მგ. ექვ.-ის ფარგლებში. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg. ჰუმუსის მაქსიმალური რაოდენობა 4,35% შეადგენს და სიღრმეში თანდათანობით მცირდება. კალციუმის კარბონატების რაოდენობა ზედაპირიდან სიღრმეში თანდათანობით იზრდება და შეადგენს 2,79-4,65%-ს. მექანიკური შედგენილობა მთელ პროფილში მძიმეა. ჰუმუსოვანი ჰორიზონტები ხასიათდებიან მძიმე თიხნარი და სიღრმითი ჰორიზონტები – მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობით. ფიზიკური თიხის ფრაქციის შემცველობა 56-65% შეადგენს. ლექის ნაწილაკების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ცვალებადობს 56-65%-ის ფარგლებში.

BC<sub>2</sub> – 50-70cm – 10YR3/2, very compact, loamy, crumby-prismatic, slickenside, carbonate concretions (10YR8.5/2), iron mottles (5YR5.5/8), effervescence with 10% HCl.

The profile is characterised by high density and surface cracks that indicates on Vertic processes.

Humus horizon of the profile has neutral reaction (pH – 7,45-7,60), that in subsurface horizons transits into weak alkaline reaction (pH – 7,75-7,87). Absorption capacity in 100g. soil fluctuates in 33,46-40,92mg. eqv. From absorbed bases Ca predominates Mg. Maximum content of humus is 4,35% and gradually reduces in depth. Amount of calcium carbonates slowly increases from surface to depth and reaches 2,79-4,65%. Texture of the profile is heavy in all depth. Humus horizons characterised with heavy loamy and subsurface horizon light clay textures. Content of physical clay is around 56–65%. Amount of clay particles is high and fluctuates between 56-65%.

### II.III.9. დამლაშებული ნიადაგები (ვერტიკ სოლონჩაკ, მოლიკ სოლონეტ)

დამლაშებული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,6% (112600ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში: ალაზნის, ელდარის, ტარიბანა-ნატბეულის, ლაკბეს, შავმინდორის აკუმულაციურ ვაკეებზე, გარდაბნის, მარნეულის, სამგორის და კრწანისის ვაკეებზე; ფრაგმენტულად გვხვდება შუა ქართლში.

კლიმატი მშრალი სუბტროპიკულია, ცხელი ზაფხულითა და თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 12,1-12,5°C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 4000-4500°C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შვიდი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა 380-600მმ-ია. ნალექების მინიმუმი ზამთარში მოდის, ხოლო მაქსიმუმი მაისსა და ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი არის 0,33-0,50.

### II.III.9. Saline Soils (Vertic Solochaks, Mollic Solonetz)

The total area of the Saline soils is 1,6% (112600ha). These soils are widely distributed on the plains of East Georgia: The Alazani, Eldari, Taribana-Natbeuli, Lakbe, Shavmindori accumulative valleys, Gardabani, Marneuli, Samgori and Krtsanisi valleys; fragmentarily in Shua Kartli.

The climate is dry subtropical with hot summers and warm, almost snowless winters. The average annual temperature is 12,1-12,5°C. The sum of the active temperature is 4000-4500°C. The duration of the vegetation period is seven months. The amount of the annual precipitation is 380-600mm, with a minimum in winter and a maximum in

ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილია ვეძიანებით, ავშნიანებით, ავშნიან-ყარღანიანი და ურო-ავშნიანი ფორმაციებით.

May and June. The moisture coefficient is 0,33-0,50. The vegetation is mainly Artemisia and Andropogo.

**ნიადაგის დასახელება**

**ადგილმდებარეობა:** წნორი, ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, ს.ზ.დ. 225მ, N 41°38.356' E 046°02.060'

**რელიეფი:** ტალღოვანი ვაკე

**მცენარეული საფარი:** ბალახოვანი საფარი

**ნიადაგწარმოქმნელი ქანი:** კარბონატული თიხიანი ნაფენები

A – 0-12სმ – 10YR3/2, მომკვრივო, თიხნარი, კომტოვანი, ფესვები საკმაოდ, შხუის 10% HCl-ის ზემოქმედებით;

B<sub>1</sub> – 12-23სმ – 10YR6/3 და 10YR6/4, მკვრივი, კომტოვანი, თიხა, ფესვები ცოტა, ხირხატი ერთეული, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

B<sub>2</sub> – 23-45სმ – 10YR5/3, მკვრივი, კომტოვანი, ფესვები ძალიან ცოტა, ხირხატი ერთეული, თიხა, ჰუმუსოვან-თიხიანი კუტანები, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC – 45-80სმ – 10YR5/3, მკვრივი, მსხვილკომტოვანი, ფესვები ძალიან ცოტა, თიხა, ჰუმუსოვან-თიხიანი კუტანები, ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

ნიადაგი ხასიათდება სუსტად ტუტე და ტუტე რეაქციით (pH – 8,03-8,31); შთანთქმის ტევადობა 100გ ნიადაგში 30,64-41,00მგ. ექვ.-ის ფარგლებში

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Tsnori, south-east territory of Alazani valley, 225m a.s.l., N 41°38.356' E 046°02.060'

**Relief:** Undulated plain area

**Vegetation:** Grass cover

**Parent material:** Carbonatic loamy deposits

A – 0-12cm – 10YR3/2, slightly dense, loamy, crumbly, common roots, effervescence with 10% HCl;

B<sub>1</sub> – 12-23cm – 10YR6/3 and 10YR6/4, dense, crumbly, loam, few roots, very few rocks, effervescence with 10% HCl;



წნორის მიდამოები (ალაზნის ველი)  
Environs of Tsnori (Alazani Valley)



დამლაშებული ნიადაგი  
Saline Soil

ცვალებადობს. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg. ჰუმუსის მაქსიმალური რაოდენობა 3,87% შეადგენს და სიღრმეში თანდათანობით მცირდება. CaCO<sub>3</sub>-ის შემცველობა ზედაპირიდან სიღრმეში მატების ტენდენციას განიცდის და სიღრმით BC ჰორიზონტში 8,47%-ს აღწევს. მექანიკური შედგენილობა პროფილის მთელ სიღრმეში საშუალო თიხნარია. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა თითქმის თანაბარია და 75-78%-ს შეადგენს. ლექის ნაწილაკების შემცველობა საკმაოდ მაღალია (37-42%).

B<sub>2</sub> – 23-45cm – 10YR5/3, dense, crumbly, very few roots, very few rocks, loam, humus-clay cutanes, effervescence with 10% HCl;

BC – 45-80cm – 10YR5/3, dense, large crumbly, very few roots, humus-clay cutanes, strong effervescence with 10% HCl.

The profile has weakly alkaline and alkaline reactions (pH – 8,03-8,31); Absorption capacity in 100g. soil 30,64-41,00 mg equivalent. From absorbed bases Ca predominates over Mg. Maximum content of humus is 3,87% and decreases in depth. Content of CaCO<sub>3</sub> increases from above to bottom and in BC horizon reaches 8,47%. Texture in all profile is medium loam. Content of physical clay fraction is almost the same and is 75-78%. Content of clay particles is high 37-42%.

### II.III.10. შავმიწები

#### (ვორონიკ, კალციკ ჩერნოზემს)

შავმიწების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,4% (99200ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში, ზღვის დონიდან 1200-1900მ შორის.

სამხრეთ მთიანეთის შავმიწების უმეტესი ნაწილი განვითარებულია ვულკანურ პლატოზე, რომელიც მთიანი ვაკის ხასიათს ატარებს. საქართველოს შავმიწების ზოლი გეომორფოლოგიურად იყოფა დენუდაციურ, ამფითიატრისებრ და აკუმულაციურ ტიპებად. ახალქალაქ-ნალკის რეგიონის ვაკეები აგებულია ანდეზიტების, ანდეზიტ-ბაზალტებისა და ბაზალტური ქანებისგან. დეპრესიებში ეს ქანები გადაფარულია ტბური ნალექებით. გამოზიდვის კონუსები წარმოდგენილია ანდეზიტ-დაციტებით. გამყინვარების პერიოდში სამხრეთ მთიანეთმა გამყინვარება განიცადა, რაზეც მიუთითებს გავრცელებული მორენული ნაფენები. შავმიწების სარტყელი ხასიათდება ცივი ჰავით. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 5 თვეს უდრის. ნალექების რაოდენობა 545-746მმ-ია. მათი მაქსიმუმი მაის-ივნისში მოდის, ხოლო მინიმუმი ზამთარში.

### II.III.10. Chernozems

#### (Voronic, Calcic Chernozems)

In Georgia, the total area of Chernozems is 1,4% (99200ha). These soils are distributed in the southern mountainous regions between 1200-1900m a.s.l.

Most of the chernozems of South mountainous were developed on the volcanic plateau, which is characterised by mountainous flat nature. The belt of the chernozems of Georgia is geomorphologically divided into: denudation surfaces, amphitheatre like and accumulative types. The plains of Akhalkalaki and Tsalka districts are formed of andesite, andesite-basalt and basalt rocks. In depressions these rocks are covered by lake sediments. Alluvial fans are presented by andesite-dacite. During the glacial period the southern mountainous region was covered with glaciers, which are documented by moraine sediments. The chernozem belts

წლიური საშუალო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 70% უდრის. ბუნებრივი მცენარეულობა ძირითადად მდელო-სტეპის ტიპისაა და აერთიანებს შემდეგ დაჯგუფებებს: უროიანი, ვაცინვერიანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ისლიან-ჭალისანი.

are characterized by a cold climate. The duration of the vegetation period is five months. The precipitation is 545-746mm. with a maximum in May-June, and a minimum in winter. The average annual air humidity is 70%. The vegetation is mainly meadow-steppe type and involves the following groups: Andropogon, Stipa, Grain-mixtgerbosum, Carex.

**ნიადაგის დასახელება**

**ადგილმდებარეობა:** ნალკის რაიონი, სოფ. იმერა, ს.ზ.დ. 1612მ, N 41°38.532' E 044°10.932'

**რელიეფი:** ტალღოვანი ვაკე

**მცენარეული საფარი:** ბალახოვანი მცენარეული საფარი

**ნიადაგწარმომქმნელი ქანი:** ვულკანოგენური ეფუზივები-ანდეზიტ-ბაზალტები

**A' – 0-20სმ – 10YR2/1,** მარცვლოვანი, თიხნარი, ფესვები ბევრი, მშრალი, ხირხატი ძალიან ცოტა, მომკვრივო, ძალიან სუსტად შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

**A'' – 20-40სმ – 10YR2/1,** მარცვლოვანი, თიხნარი, ფესვები საკმაოდ, მშრალი, ხირხატი ცოტა, მომკვრივო, ძალიან სუსტად შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Tsalka district, village Imera. 1612m a.s.l., N 41°38.532' E 044°10.932'

**Relief:** Waving valley

**Vegetation Cover:** Grass Cover

**Parent material:** Vulcanogenic rock – effusive andesite-basalt

**A' – 0-20cm – 10YR2/1,** granular, loamy, many roots, dry, weakly skeletal, slightly dense, very weak effervescence with 10% HCl;

**A'' – 20-40cm – 10YR2/1,** granular, loamy, common roots, dry, weakly skeletal, slightly dense, very weak effervescence with 10% HCl;

**AB – 40-50cm – 10YR2/1 and 10YR3/2,** granular-crumby, heavy loam, slightly moist, skeleton, very few roots, humus coatings (10YR3/1) on aggregate surfaces, very weak effervescence with 10% HCl;

**BC – 50-70cm – 10YR4/2,** crumby, heavy loam, very few roots, clay-humus coatings on aggregate surfaces, biological activity (worms), very weak effervescence with 10% HCl;

**BC<sub>2</sub> – 70-90cm – 10YR4/2,** crumby, loamy, no roots, CaCO<sub>3</sub> concretions (10YR8/2), few Mn concretions (10YR2/1), singular iron oxide mottles (10YR7/8), clay-humus coatings on aggregate surfaces, strong effervescence with 10% HCl;

The profile is characterised with neutral and weak alkaline reaction



სოფ. იმერას მიდამოები (ნალკის მუნიციპალიტეტი)  
Environs of vil. Imera (Tsalka Municipality)



AB – 40-50სმ – 10YR2/1 და 10YR3/2, მარცვლოვან-კომპოზიციანი, მძიმე თიხნარი, მოტენიანო, ხირხატი, ფესვები ძალიან ცოტა, ჰუმუსოვანი კუტანები (10YR3/1) აგრეგატის ზედაპირზე, სუსტად შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC – 50-70სმ – 10YR4/2, კომპოზიციანი, მძიმე თიხნარი, ფესვები ძალიან ცოტა, ჰუმუს-თიხიანი კუტანები აგრეგატების ზედაპირზე, ბიოგენური აქტივობა (ჭიაყელები გვხვდება), სუსტად შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC<sub>2</sub> – 70-90სმ – 10YR4/2, კომპოზიციანი, თიხნარი, ფესვები არ არის, CaCO<sub>3</sub> კონკრეციები (10YR8/2), Mn კონკრეციები (10YR2/1) ცოტა, რკინის ჟანგის ლაქები (10YR7/8) ერთეული, ჰუმუს-თიხიანი კუტანები ზედაპირის აგრეგატებზე, ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

პროფილი ხასიათდება ნეიტრალური და სუსტი ტუტე რეაქციით (pH – 6,55-7,75), შთანთქმის მაღალი ტევადობით (>40მგ.ეკვ./100გ ნიადაგში), ფუძეებით მაძღრობით. შთანთქმული ფუძეებიდან Ca ჭარბობს Mg-ს. ჰუმუსოვანი ჰორიზონტები გამოტუტულია და კალციუმის კარბონატების მაქსიმალური რაოდენობა სიღრმით ჰორიზონტში აღემატება 15%-ს. პროფილი ღრმად ჰუმუსირებულია. ჰუმუსის საერთო რაოდენობა პროფილის ზედა ნაწილში 6,05-9,85% შეადგენს და 90სმ სიღრმეზე მცირდება 2,59%-მდე. პროფილი მთელ სიღრმეზე მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობისაა და ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 70%-ს აღემატება. ლექის ნაწილაკების შემცველობა საკმაოდ მაღალია პროფილში და 34-38%-ს შეადგენს.

### II.III.11. კორდიან-კარბონატული ნიადაგები (რენდზიკ ლეპტოსოლს)

კორდიან-კარბონატული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,5% (317200ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში-მთიულეთში, სამაჩაბლოში, კახეთსა და ქართლში. კორდიან-კარბონატული ნიადაგების გავრცელება ემთხვევა კირქვებსა და მერგელების არეალს. ისინი ძირითადად ფორმირდებიან ტყის



შავმიწა  
Chernozems

(pH – 6,55-7,75), high cation exchange capacity (>40mg.equivalent in 100g. soil) and saturated exchangeable basis. From exchangeable bases Ca is higher than Mg. The humus horizon is leached and maximum amount of calcium carbonates is concentrated in depth and exceeds 15%. The profile is deeply hummified. Total amount of humus in the upper part of the profile is 6,05-9,85% and it is lowered to 2,59% at 90cm depth. The whole profile is light clay texture consistence and amount of physical clay fraction is more than 70%. Amount of clay particles is high in the profile (34-38%).

### II.III.11. Raw Carbonate Soils (Rendzic Leptosols)

The total area of Raw carbonate soils composes 4.5% (317200ha) of the total area of the country. These soils are distributed in west Georgia: Abkhazia, Samegrelo, Racha-lechkhumi and Zemo Imereti regions, also in east Georgia: Mtiuleti, Samachablo, Kakheti and Kartli. Raw carbonate soils are distributed in areas with limestone and chalky clays.

ზონაში ისეთ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, დოლომიტები, მერგელები და სხვ.) და ხასიათდებიან ჩამრეცხი ან პერიოდულად ჩამრეცხი ტენის რეჟიმით. კორდიან-კარბონატული ნიადაგები, მთა-ტყის სარტყლის გარდა, გავრცელებულია ტენიან და მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, მაღალმთიანეთში. კორდიან-კარბონატული ნიადაგების არეალში რელიეფი ეროზიული ტიპისა და წარმოდგენილია დენუდაციური, დენუდაციურ-აკუმულაციური და დენუდაციურ-მენყრული ფორმებით. ნიადაგწარმოქმნელი ქანები წარმოდგენილია კარბონატული ქანებით (კირქვები, მერგელები, დოლომიტები). კლიმატი ზომიერად თბილია. ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია მუხნარ-რცხილნარი ტყეებით, ბალახების ფართო მონანილეობით. ათვისებული ფართობები გამოყენებულია ვენახის, ხეხილის, მათ შორის სუბტროპიკული ხეხილის, დაფნისა და სხვა მრავალწლიანებისთვის.

These soils usually are formed in the forest zone mainly on carbonate rocks (e.g. Limestone, Marble, Dolomite and chalky clay) and they are characterized by a leaching or periodically leaching moisture regime. Apart from the mountain forest belt, Raw Carbonate soils are distributed in the humid and the dry subtropical zone of the high mountains. In areas with these soils relief is erosive and characterised by denudation, denudation-accumulation and denudation landslide forms. The climate is moderately warm. The vegetation mainly consists of oak-hornbeam forests with different kind of grasses. Cultivated areas are used for vineyards, orchards, among them subtropical orchards, laurels and other perennial crops.

**ნიადაგის დასახილველი**

**ადგილმდებარეობა:** ქუთაისი, ჭოგნარი, ს.ზ.დ. 126მ, N 42°12.281' E 042°47.000'

**მცენარეული საფარი:** რცხილნარი, ჯაგრცხილნარი

**რელიეფი:** ფერდობის ქვედა ნაწილი  
**ნიადაგწარმოქმნელი ქანი:** კირქვები

A – 0-20სმ – 7,5YR3/3, მოტენიანო, კოშტოვანი, თიხნარი, ფესვი ბევრი, მომკვრივო, ხირხატი, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Kutaisi, Chognari, 126m a.s.l., N 42°12.281' E 042°47.000'

**Relief:** Middle slope

**Vegetation:** Hornbeam (*Carpinus*) and *Carpinus orientalis*

**Parent rock:** Limestone

A – 0-20cm – 7,5YR3/3, (moist), crumby, loamy, many roots, slightly dense, skeleton, effervescense with 10% HCl;

AC – 20-30cm – 2,5Y4/4 (moist), moisty, crumby, loamy, skeletic, carbonate concretions, (7,5YR8/1), common roots, effervescense with 10% HCl;

CD – 30-50cm – 2,5Y7/4, 7,5YR5/6, 5YR3/1 (moist), crumby, moistly, loamy, carbonate concretions (7,5YR8/1) and strongly skeleton, roots, effervescense with 10% HCl.

The profile is characterized by dark humus horizon transition into white deeper horizon and skeleton from above.

The profile is characterized by weak alkaline and alkaline (pH – 7,72-8,05)



ჭოგნარი (ქუთაისის მიდამოები)  
Chognari (Environs Kutaisi)

AC – 20-30სმ – 2,5Y4/4, მოტენიანო, კოშტოვანი, თიხნარი, ხირხატი, კარბონატის კონკრეციები (7,5YR8/1), ფესვები, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

CD – 30-50სმ – 2,5Y7/4, 7,5YR5/6, 5YR3/1 (wet), კოშტოვანი, მოტენიანო, თიხნარი, კარბონატის კონკრეციები (7,5YR8/1) და ხირხატი ბევრი, ფესვები, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

ნიადაგისთვის დამახასიათებელია მუქი ჰუმუსოვანი ჰორიზონტის გადასვლა თეთრი ფერის სილრმით ჰორიზონტში და ხირხატიანობა ზედაპირიდანვე.

პროფილი ხასიათდება სუსტად ტუტე და ტუტე რეაქციით (7,72-8,05), შთანთქმული ფუძეების საშუალო შემცველობით, გაცვლით კათიონებში კალციუმი მკვეთრად ჭარბობს მაგნიუმს,  $\text{CaCO}_3$ -ის შემცველობა მაღალია ჰუმუსოვან ჰორიზონტში და სილრმითი ჰორიზონტები ძალიან ძლიერ კარბონატულია; ჰუმუსის რაოდენობა 7,70%-დან მცირდება სილრმეში და მკვეთრად ნაკლებია 50სმ სილრმეზე – 2,99%.

პროფილი მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობისაა (ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 60% არ აღემატება). პროფილის შუა ნაწილში შეიმჩნევა თიხის და ლექის ფრაქციების არამკვეთრი მომატება.

ხშირად არის რისკის ქვეშ, რადგან ხშირად ხდება კარიერებიდან კირქვის მოპოვების, ინფრასტრუქტურული მშენებლობების (გზების გაყვანა) არეალში, რაც სავარაუდოდ იწვევს მათ დეგრადაციას.



კარბონატის კონკრეციები  
Carbonate concretions



კორდიან-კარბონატული ნიადაგი  
Raw Carbonate Soil

with average content exchangeable basis, Ca is radically more than Mg,  $\text{CaCO}_3$  content is high in humus horizon and subsoil is very carbonated. Humus content is 7,70% is decreased in depth and is much lower in 50cm depth – 2,99%. The profile has heavy clay textured (physical clay fraction is no more than 60%). In the subsoil is observed not radical raise of fine particles and physical clay fractions.

Often it is under risk because there are open mine pits of limestone. Also, we must consider infrastructural factors such as constructions and (establishing roads) in this area, therefore it provokes degradation process.

**ნიარაგის დასახლება**

**ადგილმდებარეობა:** საგარეჯოს რ-ნი, სოფ. ანთოკი, ექსპოზიცია – სამხრეთ-აღმოსავლეთი, ს.ზ.დ. 960მ, N 41°44.566' E 045°22.679'

**რელიეფი:** ფერდობის ქვედა ნაწილი

**მცენარეული საფარი:** შერეული ფოთლოვანი ტყე

**ნადაგნარმომქმნელი ქანი:** პროლუვიურ-დელუვიური კარბონატული ქანები

A<sub>0</sub> – ≈ 1სმ – გამხმარი ფოთლები და ტოტების ნამტვრევები;

A' – 1-20სმ – 7,5YR2,5/2, მძიმე თიხნარი, კაკლოვან-კომტოვანი, მკვრივი, ფესვები სხვადასხვა ზომის საკმაოდ, წვრილი ზომის ხირხატი, წვრილი ზომის CaCO<sub>3</sub> თვლები (7,5YR8/1), ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

A'' – 20-35სმ – 7,5YR4/3,5, მძიმე თიხნარი, მკვრივი, ხირხატის ზომა მატულობს, კომტოვანი, CaCO<sub>3</sub> თვლების რაოდენობაც მომატებულია (7,5YR8/1), ფესვები საკმაოდ, ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

AB – 35-50სმ – 10YR4,5/4 და 7,5YR4/3,5, თიხნარი, კომტოვანი, CaCO<sub>3</sub> თვლების რაოდენობა და ზომა მატულობს, ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC<sub>1(CaCO3)</sub> – 50-70სმ – 10YR6/3, თიხნარი, მსხვილკომტოვანი, მომკვრივო, ფესვები ერთეული, CaCO<sub>3</sub> კონკრეციები ჭარბად (White page 7,5YR9/1), ხირხატი დიდი ზომის, ძალიან ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC<sub>2(CaCO3)</sub> – 70-110სმ – 10YR6/3, თიხნარი, მომკვრივო, მსხვილკომტოვანი, ხირხატის ზომა და რაოდენობა



სოფ. ანთოკის მიდამოები (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)  
Environs of vil. Antoki (Sagarejo municipality)

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Sagarejo district, village Antoki, south-eastern exposition, 960m a.s.l., N 41°44.566' E 045°22.679'

**Relief:** Bottom part of a slope

**Vegetation:** Decidedous forest

**Parent material:** Proluvial-Deluvial carbonate rocks

A<sub>0</sub> – ≈ 1cm – forest litter dried leaves and sticks;

A' –1-20cm – 7,5YR2,5/2, heavy loamy, subangular-crumby, dense, common roots of different sizes, fine gravel, fine CaCO<sub>3</sub> concretions (7,5YR8/1), strong effervescense with 10% HCl;

A'' – 20-35cm – 7,5YR4/3,5, heavy loamy, dense, size of gravel increases, crumby, size of CaCO<sub>3</sub> concretions also increased (7,5YR8/1), common roots, strong effervescense with 10% HCl;

AB – 35-50cm – 10YR4,5/4, 7,5YR4/3,5, loamy, crumby, increased size and amount of CaCO<sub>3</sub> concretions (7,5YR8/1), strong effervescense with 10% HCl;


BC<sub>1(CaCO3)</sub> – 50-70cm – 10YR6/3, loamy, coarse-crumby, slightly firm, few roots, abundant CaCO<sub>3</sub> concretions (White page 7,5YR9/1), coarse gravel, very strong effervescense with 10% HCl;

BC<sub>2(CaCO3)</sub> – 70-110cm – 10YR6/3, loamy, slightly dense, coarse-crumby, increased size and amount of gravel, abundant big size CaCO<sub>3</sub> concretions (White page 7,5YR9/1), very few roots, very strong effervescense with 10% HCl.

The profile is characterized by neutral and alkaline reactions (pH – 7,35-8,20) and is saturated with bases; absorption capacity is highest in humus horizon and is more than 35mg.eqv. in 100g. soil. From absorbed bases Ca predominates Mg. Content of humus does not exceed 6,83% and decreases in depth. The profile is carbonatic from surface and content of CaCO<sub>3</sub> in lower horizons

დენობა მატულობს, საკმაოდ დიდი ზომის  $\text{CaCO}_3$  კონკრეციები (White page 7,5YR9/1) ჭარბად, ფესვები ძალიან ცოტა, ძალიან ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

ნიადაგი ხასიათდება ნეიტრალური და ტუტე რეაქციით (pH – 7,35-8,20), ფუძეებით მაძღრობით; შთანთქმის ტევადობა მაქსიმალურია ჰუმუსოვან ჰორიზონტებში და 35მგ.ეკვ.-ზე მეტია 100გ ნიადაგში. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg. ჰუმუსის შემცველობა 6,83%-ს არ აღემატება და სიღრმეზე თანდათან მცირდება. პროფილი ზედაპირიდანვე კარბონატულია და  $\text{CaCO}_3$ -ის შემცველობა ქვედა ჰორიზონტებში 46,6-65,37%-ია. მექანიკური შედგენილობა პროფილის სიღრმეზე ცვალებადობს მძიმე თიხნარსა და მსუბუქ თიხას შორის. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 55-63%-ს შეადგენს; მაღალია ლექის ფრაქციის შემცველობა, რომელიც 25-33%-ის ფარგლებში ცვალებადობს.



კორდიან-კარბონატული ნიადაგი  
Raw Carbonate Soil

is 46,6-65,37%. Texture changes from heavy loam and light clay throughout the profile. Content of physical clay fraction is 55-63%; Content of clay fraction is high that fluctuates between 25-33%.

## ნიადაგის დახასიათება

**ადგილმდებარეობა:** თეთრინწყარო, ს.ზ.დ. 1041 მ, N 41°32.91' E 044°31.730'

**რელიეფი:** ფერდობის ძირი, დაქანება 15°, ექს-პოზიცია – სამხრეთი

**მცენარეული საფარი:** რცხილა, ჯვარცხილა

**ნიადაგნარმომქმნელი ქანი:** კირქვა

A' – 0-30სმ – 10YR4/1,5, ნვრილკომტოვანი, ფესვები ძალიან ბევრი, მომკვრივო, თიხნარი, ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

A'' – 30-50სმ – 10YR5/3, მარცვლოვან-კომტოვანი, ძალიან ბევრი ფესვი, მსხვილი ხირხატი, მომკვრივო, თიხნარი,ძლიერ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

C – 50-80სმ – 10YR8/1, ბევრი ფესვები, კომტოვანი, თიხნარი, კირქვის ფრაგმენტები ბევრი, მოფხვიერო;

პროფილისთვის დამახასიათებელია მუქი ჰუმუსოვანი ჰორიზონტის გადასვლა თეთრი ფერის სიღრმით ჰორიზონტში, ზედაპირიდანვე კარბონატულობა და ხირხატიანობა.

ნიადაგი ხასიათდება სუსტად ტუტე, ტუტე და ძლიერ ტუტე რეაქციით (pH – 7,90-8,52); შთანთქმის

## CHARACTERISTIC OF SOIL

**Location:** Tetrtskaro, 1041 m a.s.l., N 41°32.91' E 044°31.730'

**Relief:** Bottom of a slope, inclination 15°, south exposition

**Vegetation:** *Carpinus orientalis*, *Carpinus caucasica*

**Parent material:** Limestone

A' – 0-30cm – 10YR4/1.5, crumbly, abundant roots, slightly dense, loamy, strong effervescence with 10% HCl;

A'' – 30-50cm – 10YR5/3, granular-crumbly, abundant roots, coarse gravel, loamy, strong effervescence with 10% HCl;

C – 50-80cm – 10YR8/1, common roots, crumbly, loamy, abundant limestone fragments, friable.

The profile is characterized by dark humus horizon transiting into white sub-surface horizon, calcium carbonates and skeletal from the surface.



თეთრინყაროს მიდამოები  
Environs of Tetrtskaro

ტვეადობა მაქსიმალურია ჰუმუსოვან ჰორიზონტში და 37მგ. ექვ.-ზე მეტია 100გ ნიადაგში. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg. ჰუმუსის მაქსიმალური რაოდენობა >5%-ზე და სიღრმეში თანდათანობითი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. პროფილი ზედაპირიდანვე კარბონატულია და CaCO<sub>3</sub>-ის შემცველობა C ჰორიზონტში თითქმის 71%-ს აღწევს. მექანიკური შედგენილობა პროფილის მთელ სიღრმეში მძიმე თიხნარია. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა არ აღემატება 56%-ს, ხოლო ნვრილდისპერსიული ნაწილაკების რაოდენობა 25-29%-ის ფარგლებში ცვალებადობს.



კორდიან-კარბონატული ნიადაგი  
Raw Carbonate Soil

The profile is characterized by weakly alkaline, alkaline and strong alkaline reactions (pH – 7,90-8,52); Absorption capacity is maximum in humus horizon and exceeds 37mg. eqv. in 100g. soil. From absorbed bases Ca predominates Mg. Maximum content of humus is >5% and in depth decreases gradually. The profile is carbonatic from the surface and content of CaCO<sub>3</sub> in C horizon reaches 71%. Texture of the profile in the whole depth does not exceed 56% and content of fine particles fluctuates 25-29%.

**II.III.12. ყომრალი ნიადაგები  
(ჰუმიკ, ფერიკ, ეუთრიკ, დისტრიკ კამბისოლს)**

საქართველოში ყომრალი ნიადაგების არეალი შეადგენს მთელი ტერიტორიის 18,1% (1329000ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილზე. დასავლეთ საქართველოში ისინი მოქცეულია ზღვის დონიდან 800(900)-1800(2000)მ, აღმოსავლეთ საქართველოში – 900(1000)-1900(2000)მ-ის სიმაღლის ფარგლებში.

ყომრალი ნიადაგები უმეტესად ფერდობებზეა განვითარებული, რაც განაპირობებს აუცილებ-

**II.III.12. Brown Forest Soils  
(Humic, Ferric, Eutric, Dystric Cambisols)**

In Georgia the total area amounts is 18,1% (1329000ha). In east, west and south Georgia, Brown forest soils are widely distributed. In West Georgia, they are found between 800m (900m) up to 1800m (2000m), in East Georgia within 900m (1000m) up to 1900m (2000m).

ბელ, თავისუფალ დრენაჟს. დენუდაციის მოვლენები აღინიშნება როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. რელიეფის ფორმირება, ძირითადად, წყლოვანი დენუდაციის მოვლენებითაა გამოწვეული. დასავლეთ საქართველოს გეოლოგიურ შენებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ქვიშნარებსა და თიხაფიქლებს, მერგელებს, კონგლომერატებს და სხვ. მთავარი კავკასიონის მთების შუა ზონაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ კირქვები. ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში ჭარბობენ გრანიტები, გნეისები, ქვიშნარები, ფიქლები და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყის ზონის ფარგლებში გეოლოგიურ შენებაში მონაწილეობენ ქვიშნარები, თიხაფიქლები და კირქვა-თიხიანი ფიქლები. ვულკანური წარმონაქმნები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ყომრალი ნიადაგები ვითარდებიან ნიფლნარების, მუქწინვოვნების, ფიჭვნარების, მუხნარებისა და სხვა ტყეების ქვეშ. ნიფლნარები ფართობით პირველ ადგილს იკავებენ და წარმოადგენენ მცენარეულობის ძირითად ტიპს. ისინი ქმნიან ცალკე ბუნებრივ ზონას, ზღვის დონიდან 1000-1100მ-დან 2000-2100მ-მდე. ეს ზონა არ არის მესხეთ-ჯავახეთში. დასავლეთ საქართველოს 1400-1500მ-ის ზემოთ ნიფლნარებს ცვლიან მუქწინვოვნი ტყეები. მუხნარები წარმოდგენილია მუხის რამდენიმე სახეობით, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართული მუხა. ის ქმნის ტყის მასივებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400 (500)მ-დან 1000-1100მ-მდე. კლიმატი თბილი და ზომიერად ტენიანია. ივლისის ტემპერატურა შეადგენს 16,8-21,8°C, იანვრის – 2,1-7,6°C. საშუალო წლიური ტემპერატურაა 3,8-10,9°C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 527მმ-დან 1737მმ-მდე. ნალექების მინიმუმი აღინიშნება ზამთრის თვეებში, ხოლო მაქსიმუმი – მაის-ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტია, რაც განაპირობებს ნიადაგების ტენის ჩამრეცხ რეჟიმს.

Brown forest soils are mainly developed on slopes, which determine free intersoil drainage. In the zone of brown forest soils phenomena of denudation in vertical and horizontal directions are expressed. As a result of erosion and denudation processes the development of peneplains takes place. In West Georgia, the formation of these soils occurs on tertiary sandstones and clay slates, clay deposits and conglomerates. In the middle zone of the Great Caucasus limestones cover a large area. In the other part of the territory, granites, gneisses, sandstones, schists, and others predominate.

The geology of the mountain forest zone of East Georgia is characterized by jurassic sandstones, clay slates and carbonatic clay slates. Volcanic formations are widely distributed in South Georgia. The brown forest soils are formed under beech, dark conifers, pine trees, oaks and other plant species. Beech forests occupy the largest area and are the main type of vegetation. They form a separate natural zone from 1000-1100m to 2000-2100m a.s.l. This zone is not only observed in Meskhet-Javakheti. In West Georgia, at an altitude above 1400-1500m, they are replaced by dark coniferous forests. Oak forests have different species of oaks, among them the widely distributed *Quercus iberica*, which forms forest massifs in East and West Georgia between 400(500) m and 1000(1100)m a.s.l. The climate is warm and moderately humid. The temperature of July is 16,8-21,80°C, of January – 2,1-7,6°C. The average annual temperature is 3,8-10,9°C. The annual precipitation fluctuates between 527mm and 1737mm. The minimum precipitation occurs during the winter months, the maximum in May and June. Annual humidity coefficient is more than 1, which determines the water percolation in the soils.



ბახმაროს მიდამოები  
Environs of Bakhmaro



ყოფრალი ნიადაგი  
Brown Forest Soil

**ნიადაგის დასასიათება**

**ადგილმდებარეობა:** ბახმარომდე 13კმ-ით დაშორებული, ს.ზ.დ. 1645მ, N 41°53.175' E 042°21.673'  
**რელიეფი:** ფერდობი

**მცენარეული საფარი:** მუქწიწვოვანი ტყე – სოჭი და ნაძვი

**ნიადაგნარმომქმნელი ქანი:** დელუვიური ნაფენები  
A – 0-10სმ – 10YR3/4, ფესვები ბევრი, მშრალი, წვრილკომპოვანი, მკვრივი, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

B<sub>1</sub> – 10-30სმ – 10YR3/3,5, ფესვები ცოტა, თიხნარი, კომპოვანი, მოტენიანო, მცირე რაოდენობით Fe ლაქები (2,5YR4,5/8 და 5YR6/8), Mn კონკრეციები (10YR2/1), არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

B<sub>2</sub> – 30-60სმ – 7,5YR4/4, ტენიანი, თიხნარი, კომპოვანი, ფესვები ერთეული, ხირსატი ერთეული, Fe ლაქები (2,5YR4,5/8 და 5YR6/8), Mn კონკრეციები (10YR2/1), ცოტაა ლების ლაქა (2,5YR6,5/1), არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC<sub>1(g)</sub> – 60-80სმ – 7,5YR4/6, ტენიანი, თიხნარი, კომპოვანი, ფესვები ერთეული, Fe ლაქები (2,5YR4,5/8 და 10R3/6) და Mn კონკრეციები (10YR2/1) მომატებულია, ასევე მატულობს ლების ლაქების (2,5YR6,5/1) რაოდენობაც, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC<sub>2(g)</sub> – 80-110სმ – კომპოვანი, თიხნარი, მომკვრივო, ბევრია Fe ჟანგის (10R3/6) და ლების (2,5YR6,5/1) ლაქები, Mn კონკრეციები (10YR2/1), არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** 13 km distance to Bakhmaro, 1645m a.s.l., N 41°53.175' E 042°21.673'

**Relief:** Slope

**Vegetation:** Conifer forest – Fie tree (*Picea Orientalis*), Spruce-tree (*Abies nordmanniana*)

**Parent material:** Delluvial deposits  
A – 0-10cm – 10YR3/4, many roots, dry, fine-crumby, dense, no effervescence with 10% HCl;

B<sub>1</sub> – 10-30cm – 10YR3/3,5, few roots, loamy, crumby, slightly moist, few Fe mottles (2,5YR4,5/8 and 5YR6/8) and Mn concretions (10YR2/1), no effervescence with 10% HCl;

B<sub>2</sub> – 30-60cm – 7,5YR4/4, moist, loamy, crumby, singular roots, singular gravel, Fe mottles (2,5YR4,5/8 and 5YR6/8) and Mn concretions (10YR2/1), few gley mottles (2,5YR6,5/1), no effervescence with 10% HCl;

BC<sub>1(g)</sub> – 60-80cm – 7,5YR4/6, moist, loamy, crumby, singular roots, increased amount of Fe mottles (2,5YR4,5/8 and



ნიადაგში შეიმჩნევა Fe/Mn კონკრეციები და ლაქები, რაც დაკავშირებულია დატენიანება/გამომშრობის ციკლურ ცვლილებასთან. ლევის ლაქების არსებობა პროფილის სიღრმეში მიუთითებს ალდგენით პროცესებზე.

ნიადაგი ხასიათდება მყავე და სუსტად მყავე რეაქციით (pH – 4,75-5,95), შთანთქმის ტევადობა შეადგენს 22,87-27,14მგ.ეკვ./100გ ნიადაგში, პროფილი მთელ სიღრმეზე ფუძეებით არამადლარია. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად აღემატება Mg-ს. შთანთქმულ კათიონებში გაცვლითი წყალბადის შემცველობა მატების ტენდენციას განიცდის ჰუმუსოვან ჰორიზონტში (15%) და სიღრმეში 5%-მდე მცირდება. პროფილი ღრმად ჰუმუსირებულია, ჰუმუსის საერთო რაოდენობა ჰუმუსოვან ჰორიზონტში 9%-ს აღემატება და სიღრმით BC<sub>2</sub> ჰორიზონტში (80-110სმ სიღრმეში) 1,74%-ს შეადგენს. პროფილი მთელ სიღრმეზე მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობისაა. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 46-52% შეადგენს. ლექის ფრაქციის შემცველობა სტაბილურად ნაწილდება ზედაპირიდან სიღრმეში და არ აღემატება 20%-ს.

10R3/6) and Mn concretions (10YR2/1), also increased amount of gley mottles (2,5YR6,5/1), no effervescence with 10% HCl;

BC<sub>2(g)</sub> – 80-110cm – crumbly, loamy, slightly dense, many Fe (10R3/6) and gley (2,5YR6,5/1) mottles, Mn concretions (10YR2/1), no effervescence with 10% HCl.

In the profile can be observed Fe/Mn concretions and mottles that is linked to wetting/drying cycles. Existence of gley mottles in the profile indicates on restoring processes.

The profile is characterised with acid and weak acid reaction (pH – 4,75-5,95), cation exchangeable capacity is 22,87-27,14mg equivalent in 100g. soil, the profile has low cation exchange capacity in the whole depth. From bases Ca is higher than Mg. In basis exchangeable hydrogen has raising tendency in humus horizon (15%) and in depth is lowered to 5%. The profile is deeply humified, total amount of humus in the humus horizon is more than 9% and in deeper BC<sub>2</sub> horizon (80-110 cm) is 1,74%. The profile in whole depth has heavy loam texture. Amount of physical clay fraction is between 46-52%. Amount of clay is evenly distributed in the profile and does not exceed 20%.

## ნიადაგის დახასიათება

**ადგილმდებარეობა:** ცხრანყაროს უღელტეხილი, ს.ზ.დ. 1884მ, N 41°43.162' E 043°29.648'

**რელიეფი:** ფერდობის ქვედა ნაწილი

**მცენარეული საფარი:** შერეული ტყე – დომინანტობს ნიფელი

**ნიადაგნარმოქმნელი ქანი:** ანდეზიტ-ბაზალტები A<sub>0</sub> – ≈ 2სმ – მკვდარი საფარი, ნახევრად გახრწნილი ფოთლებით, გაუხრწნელი გამხმარი ფოთლებით, ტოტები;

A – 2-8სმ – 7,5YR2/1,5, კაკლოვანი, თიხნარი, მოფხვიერო, ფესვები ბევრი, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

## CHARACTERISTIC OF SOIL

**Location:** Tskratskaro pass, 1884m a.s.l., N 4°43.162' E 043°29.648'

**Relief:** Down side of the slope

**Vegetation Cover:** Mixed forest, dominated by beech

**Parent material:** Andesite-basalts A<sub>0</sub> – ≈ 2cm – forest litter, various stages of decomposed leaves, stems and barks;

A – 2-8cm – 7,5YR2/1,5, subangular, loamy, slightly friable, abundant roots, without effervescence with 10% HCl;



ცხრანყაროს მიდამოები  
Environs of Tskratskaro

AB – 8-20სმ – 7,5YR3/2, კაკლოვან-კომტოვანი, თიხნარი, მომკვრივო, ფესვები ნაკლებად, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

B<sub>1</sub> – 20-38სმ – 7,5YR3/3, კომტოვანი, თიხნარი, მსხვილი ხირხატი ცოტა, ფესვები ცოტა, სიმკვრივე მატულობს, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

B<sub>2</sub> – 38-55სმ – 7,5YR3,5/4, კომტოვანი, თიხნარი, მომკვრივო, მსხვილი ხირხატი ცოტა, ფესვები ძალიან ცოტა, რკინის მცირე ზომის ლაქები (7,5YR6/8), არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

BC – 55-75სმ – 7,5YR4/4,5, კომტოვანი, თიხნარი, წვრილი ხირხატი ცოტა, ფესვები არ არის, მომკვრივო, რკინის მცირე ზომის ლაქები (7,5YR6/8); (7,5YR6,5/8) მცირე რაოდენობით, არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით.

ნიადაგი ხასიათდება სუსტად მჟავე რეაქციით (pH – 5.78-6,43), შთანთქმის საშუალო ტევადობით (21,34-25,74მგ.ეკვ./100გ ნიადაგში), ფუძეებით არამაძღრობით. შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად ჭარბობს Mg-ს. შთანთქმულ კათიონებში გაცვლითი წყალბადის შემცველობა შეადგენს 4-21%-ს. ჰუმუსის საერთო რაოდენობა პროფილის ჰუმუსოვან ჰორიზონტში 8%-მდეა და სიღრმეში მკვეთრად მცირდება. პროფილი მთელ სიღრმეზე უმეტესად საშუალო თიხნარი მექანიკური შედგენილობისაა. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 37-44% შეადგენს. <0.001მმ ნაწილაკების შემცველობა უმნიშვნელო მატებას განიცდის სიღრმეში.

AB – 8-20cm – 7,5YR3/2, subangular-crumby, loamy, slightly dense, few roots, without effervescence with 10% HCl;

B<sub>1</sub> – 20-38cm – 7,5YR3/3, crumby, loamy, few coarse rock fragments, increased density, without effervescence with 10% HCl;

B<sub>2</sub> – 38-55cm – 7,5YR3,5/4, crumby, loamy, slightly dense, few coarse rock fragments, very few roots, small iron mottles (7,5YR6/8), without effervescence with 10% HCl;

BC – 55-75cm – 7,5YR4/4,5, crumby, loamy, few fine coarse fragments, no roots, slightly dense small iron mottles (7,5YR6/8 and (7,5YR6,5/8), without effervescence with 10% HCl.

The profile is characterized by weak acid reaction (pH – 5.78-6,43), average cation exchange capacity (21,34-25,74mg.eqv. in 100g. soil) low cation exchange capacity. From bases Ca is higher than Mg. From bases content of exchangeable hydrogen is 4-21%. Total amount of humus in humus horizon is up to 8% and is abruptly reduced in depth. Texture of the profile is mostly medium loam. The content of physical clay fractions fluctuates 37-44%. Amount of <0.001mm clay is slightly raised in depth.



ყომრალი ნიადაგი  
Brown Forest Soil

**ნიადაგის დახასიათება**

**ადგილმდებარეობა:** დუშეთი, ფასანაურის გასასვლელი, სამხრეთ-დასავლეთი ექსპოზიცია, ს.ზ.დ. 1132მ, N 42°22. 519' E 044°40. 674'

**რელიეფი:** ფერდობის ქვედა ნაწილი

**მცენარეული საფარი:** ფოთლოვანი შერეული ტყე, დომინირებს რცხილა

**ნიადაგწარმოქმნელი ქანი:** თიხაფიქალი

A – 0-20სმ – 10YR3/1,5, თიხნარი, კაკლოვან-წვრილკოშტოვანი, ფესვები ბევრი, ხირხატი, მომკვრივო, მოტენიანო;


AB – 20-35სმ – 10YR3,5/2,5, თიხნარი, კოშტოვანი, ფესვები საკმაოდ, წვრილხირხატიანი, მომკვრივო, მოტენიანო;

B – 35-50სმ – 10YR4,5/3, თიხნარი, კოშტოვანი, მომკვრივო, მოტენიანო, ხირხატის რაოდენობა და ზომა მომატებულია, ფესვები ცოტა;

BC – 50-70სმ – 10YR5/3, თიხნარი (შედარებით გამსუბუქებული), მომკვრივო, წვრილი ხირხატი საკმაოდ, კოშტოვანი, მოტენიანო;

პროფილი ზედაპირიდანვე ხირხატიანია და არ შხუის 10% HCl-ის მოქმედებით მთელ სიღრმეზე, შეიმჩნევა ბიოგენური აქტივობა (გვხვდება ჭიაცილები).

პროფილი ხასიათდება სუსტად მჟავე და ნეიტრალური რეაქციით (pH – 6,22-6,86), შთანთქმის ტევადობა შეადგენს 19,63-21,01მგ.ეკვ./100გ ნიადაგში, პროფილი მთელ სიღრმეზე ფუძეებით მაძლარია.



ყომრალი ნიადაგი  
Brown Forest

**CHARACTERISTIC OF SOIL**

**Location:** Dusheti, near Pasanauri, south-western exposition, 1132m a.s.l., N 42°22. 519' E 044°40. 674'

**Relief:** Bottom part of a slope

**Vegetation:** Dedicated forest dominated by hornbeam

**Parent material:** Shale

A – 0-20cm – 10YR3/1,5, loamy, subangular fine-crumbly, roots many, skeleton, slightly dense, slightly moist;

AB – 20-35cm – 10YR3,5/2,5, loamy, crumbly, common roots, fine skeleton, slightly dense, slightly moist;

B – 35-50cm – 10YR4,5/3, loamy, crumbly, slightly dense, slightly moist, size and amount of rock fragments is increased, few roots;

BC – 50-70cm – 10YR5/3, loamy (relatively light), slightly dense, many fine rock fragments, crumbly, slightly dense.

The profile is skeletal from the surface and does not effervesce with 10% HCl in whole dept, biological activity can be observed (worms).



ფასანაურის მიდამოები (დუშეთის მუნიციპალიტეტი)  
Environs of Pasanauri (Dusheti Municipality)

შთანთქმული ფუძეებიდან Ca მკვეთრად აღემატება Mg-ს. ჰუმუსის საერთო რაოდენობა ჰუმუსოვან ჰორიზონტში 5%-ს აღემატება და სიღრმით BC ჰორიზონტში (50-70სმ სიღრმეში) 1%-მდეა. ჰუმუსოვანი ჰორიზონტის საშუალო თიხნარი მექანიკური შედგენილობა სიღრმეში იცვლება მძიმე თიხნარი გრანულომეტრიით. ფიზიკური თიხის ფრაქციის რაოდენობა 44-49% შეადგენს. ლექის ფრაქციის შემცველობა ცვალებადობს 12-17%-ის საზღვრებში.

The profile is characterized weak acid and neutral reaction (pH – 6,22-6,86), absorption capacity is 19,63-21,01mg. eqv. in 100g. soil, the profile is saturated with basis in whole depth. From absorbed basis Ca predominates Mg. Total content of humus in surface horizon exceeds 5% and in BC horizon (50-70cm depth) lowers to 1%. Humus horizon has medium loamy texture that in depth changes into heavy loamy texture. Content of physical clay is 44-49%. Clay fraction fluctuates between 12-17%.

**II.III.13. მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები**  
(ჰაბლიკ უმბრისოლს)

**II.III.13. Mountain Forest Meadow Soils (Haplic Umbrisol)**

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების გავრცელების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 7,2% (492000ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიონის სამხრეთი მთიანეთის სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1800 (2000)მ-დან-2000 (2200)მ-მდე.

The total area of Mountain forest meadow soils is 7,2% of the territory (492000ha). These soils are broadly distributed in the subalpine zone of the Caucasian and Transcaucasian southern mountains from 1800 (2000)m to 2000 (2200)m a.s.l.

სუბალპური ტყეების არეალში გაბატონებულია მაღალმთიანეთის ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი მყინვარული გენეზისის ფორმების სიჭარბით. ზოგან გავრცელებულია მეოთხეული ეფუზიური ვულკანიზმით შექმნილი რელიეფის ფორმები. ეროზიული ხეობები ხასიათდებიან საკმაოდ ციცაბო ფერდობებით. დასავლეთ საქართველოში ნიადაგწარმოქმნელი ქანები წარმოდგენილია კრისტალური ან კვარციანი-ქარსიანი ფიქლებით, კვარციანი დიორიტებით და კირქვებით. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად გვხვდება თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები, მორენული ნაფენები. სამხრეთ საქართველოში ნიადაგწარმოქმნელ ქანებს მიეკუთვნებიან ანდეზიტები, პორფირიტები, სიენიტები. კლიმატი ცივია, ხანმოკლე გრილი ზაფხულითა და მკაცრი ხანგრძლივი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 3,2-4,1°C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა სამი-ოთხი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 605-1675მმ შორის. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 70-79% აღწევს. სუბალპური ტყეები ხასიათდებიან ტანბრეცილებით, მქნხერებითა და ბუჩქნარებით. მათი

In the area of the subalpine forest a high-mountain erosive-denudative relief dominates with additional influence of former glaciation. Some relief forms were created by quaternary volcanism. Erosive gorges shows steep slopes. Erosive gorges indicates to steep slopes. In West Georgia, the soil forming rocks consist of crystalline-mica slates and quartz diorite and limestone. Clay-shales, sandstones, limestones and moraine sediments are mainly met in East Georgia. In South Georgia, we usually find andesite, porphyrite, syenite. The climate is cold with cool summer and strict, long winter. The average annual temperature is 3,2-4,1°C. The vegetation period is three-four months. The average annual precipitation ranges between 605 and 1675 mm. The average annual relative air humidity reaches 70 to 79%. The subalpine forest is

სახეობრივი შემადგენლობა აერთიანებს შემდეგ მცენარეულ ფორმაციებს: წიფლნარებს, ნეკერჩხლნარებს, მუხნარებს, ფიჭვნარებს, ზოგჯერ ნაძვნარებსა და სოჭნარებს, დეკიანებს, იელიანებს, ლვიანებს.

## ნიადაგის დახასიათება

**ადგილმდებარეობა:** სტეფანწმინდის რაიონი, სოფ. კობი, ექსპოზიცია დასავლეთი, ს.ზ.დ. 2022მ, N 42°33.266' E 044°30.629'

**რელიეფი:** ფერდობის შუა ნაწილი, დაქანება  $\approx 15^\circ$   
**მცენარეული საფარი:** არყნარი და ბალახოვანი საფარი

**ნიადაგწარმოქმნელი ქანი:** ვულკანოგენური გაკარბონატული ეფუზივები

$A_0$  –  $\approx$  1სმ-მდე მკვდარი საფარი;

$A$  – 1-13სმ – 7,5YR4/3,5, მომკვრივო, მოტენიანო, მსუბუქი თიხნარი, ხირხარი ბევრი, დიდი ზომის ფესვები ბევრი, წვრილკაკლოვან-წვრილკომპოვანი, ძალიან სუსტად შხუის 10% HCl-ის მოქმედებით;

$AB$  – 13-22სმ – 10YR5/3, მომკვრივო, მოტენიანო, თიხნარი, კომპოვანი, ბევრი ხირხატი, ფესვები საკმაოდ, შხუის 10% HCl-ის მოქმედებით, შეიმჩნევა ბიოლოგიური აქტივობა (ჭიები, ჭიაყელები);

